



2024 წლის მარტი

ევროპის სოციალური ქარტია

(შესწორებული)

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის

დასკვნები 2023

საქართველო

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ფუნქციაა, შეაფასოს სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ევროპის სოციალურ ქარტიასთან. ეროვნულ ანგარიშებზე კომიტეტი იღებს დასკვნებს, ხოლო კოლექტიურ საჩივრებზე გამოსცემს გადაწყვეტილებებს.

ინფორმაცია ქარტიის, კომიტეტის, ეროვნული ანგარიშების, ასევე, მე-17 მუხლის განმარტებითი განცხადების შესახებ, რომელიც კომიტეტმა მიიღო ზედამხედველობის ციკლის განმავლობაში, წარმოდგენილია ყველა დასკვნის ზოგად შესავალში.

ანგარიშების სისტემის თანახმად, რომელიც მინისტრთა კომიტეტმა 2014 წლის 2-3 აპრილს დაამტკიცა მინისტრის მოადგილეთა 1196-ე შეხვედრაზე, მხარე სახელმწიფოებისთვის მოთხოვნილი ანგარიში შეეხებოდა შემდეგ დებულებებს IV თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“:

- ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე (მუხლი 7)
- დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება (მუხლი 8)
- ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება (მუხლი 16)
- ბავშვებისა და დედების სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლება (მუხლი 17)¹
- შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე (მუხლი 19)
- ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება (მუხლი 27)
- უფლება საცხოვრებელ ადგილზე (მუხლი 31)

საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

შემდეგი თავი ეხება საქართველოს, რომელსაც შესწორებული ევროპის სოციალური ქარტია რატიფიცირებული აქვს 2005 წლის 22 აგვისტოს. მე-16 ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2022 წლის 31 დეკემბერი და საქართველომ ის წარმოადგინა 2022 წლის 30 დეკემბერს.

კომიტეტი იხსენებს, რომ საქართველოს სთხოვა, პასუხი გაეცა კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებზე სხვადასხვა დებულებასთან მიმართებით (კითხვები წარმოდგენილია წერილის დანართში, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის შესრულებაზე). აქედან გამომდინარე, კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ ასპექტებზე. მან ასევე შეაფასა პასუხები წინა დასკვნებზე შეუსაბამობის, გადავადებისა და ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (2019 წლის დასკვნები).

გარდა ამისა, კომიტეტი იხსენებს, რომ გარკვეულ დებულებებთან მიმართებით არ დასმულა მიზნობრივი კითხვები. მას არ განუხილავს 2023 წელს არსებული ვითარება იმ მიმართულებებით, რომლებშიც, წინა დასკვნის (2019 წლის დასკვნები) თანახმად, საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიის დებულებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, ასევე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ კომენტარები მე-16 ანგარიშის შესახებ დარეგისტრირდა, შესაბამისად, 2023 წლის 29 და 30 ივნისს.

¹ დოკუმენტის ორიგინალ ვერსიაში ინგლისურ ენაზე შეცდომაა ამ მუხლთან დაკავშირებით. ევროპის სოციალური ქარტიის პირვანდელი ვერსიის (1961) მე-17 მუხლი ეხება ბავშვებისა და დედების სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლებას. შესწორებული ევროპის სოციალური ქარტიის (1996) მე-17 მუხლი ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების, სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლებას.

ზემოხსენებული ჯგუფიდან საქართველოს არ მიუღია შემდეგი დებულებები: 8§§1-2, 16, 17§2 და 31§§1-3.

საქართველოსთან დაკავშირებული დასკვნები მოიცავს 29 ვითარებას:

– 12 დასკვნა შესაბამისობის შესახებ: 7§2, 7§4, 7§§6-7, 7§9, 8§3, 19§3, 19§§5-6, 19§§8-9 და 27§3 მუხლები.

– 17 დასკვნა შეუსაბამობის შესახებ: 7§1, 7§3, 7§5, 7§8, 7§10, 8§§4-5, 17§1, 19§§1-2, 19§4, 19§7, 19§§10-12 და 27§§1-2 მუხლები.

დასკვნები და ანგარიშები ხელმისაწვდომია ბმულზე: www.coe.int/socialcharter.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე

პუნქტი 1 – 15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფოებს ეთხოვთ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ქარტიის 7§1 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა შეესაბამება ქარტიის 7§1 მუხლს დასაქმების მინიმალურ ასაკთან მიმართებით. ამის მიუხედავად, კომიტეტი შემფოთებულია რეალურად არსებული მდგომარეობით. არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, ბევრ ქვეყანაში ძალიან ბევრი ბავშვი მუშაობს უკანონოდ, თუმცა მეტად მწირია ოფიციალური მონაცემები ამ პრობლემის მასშტაბის შესახებ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა მიმართ მიზნობრივი კითხვების საშუალებით, კომიტეტმა ითხოვა ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც შესაბამისმა ორგანოებმა (მაგ. შრომის ინსპექციის სამსახურები და სოციალური მომსახურების სამსახურები) მიიღეს ბავშვთა შრომის შემთხვევების, მათ შორის, არაფორმალური ეკონომიკის სექტორში მომუშავე ბავშვების გამოსავლენად. კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია რეალურად მომუშავე ბავშვთა რაოდენობაზეც, ასევე, იმ სექტორთა იდენტიფიცირებისა და მონიტორინგისთვის გატარებულ ღონისძიებებზე, სადაც არსებობს მტკიცე ეჭვი, რომ ბავშვები უკანონოდ მუშაობენ.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიას, შემდეგი საფუძვლებით:

- 15 წლამდე ასაკის ბავშვების დასაქმების აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკის ყველა სექტორსა და ეკონომიკური საქმიანობის ყველა ფორმაზე;
- 15 წლამდე ასაკის ბავშვებს უფლება აქვთ, მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში შეასრულონ მსუბუქი სამუშაო და, აქედან გამომდინარე, ასეთი სამუშაო ვერ ჩაითვლება მსუბუქად;
- შრომის ინსპექტირებები, რომლებითაც მოწმდება ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული რეგულაციების პრაქტიკაში დაცვა, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ტარდებოდა.

რაც შეეხება პირველ დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, კომიტეტმა მანამდე (2019) აღნიშნა, რომ ბავშვებზე, რომლებიც მუშაობენ არაფორმალური ეკონომიკის სექტორში ან ანაზღაურების გარეშე, ანდა დამოუკიდებლად მუშაობენ, შრომის კოდექსის დებულებები არ ვრცელდებოდა.

ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს ქვეყანამ მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც, სხვა უფლებებთან ერთად, ითვალისწინებს ბავშვების დაცვას მავნე სამუშაოსგან. აღნიშნული კანონი ადგენს ბავშვის უფლებას ისეთი სამუშაოსგან დაცვაზე, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისა თუ ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის. ბავშვთა შრომის შესახებ სპეციალურ ანგარიშზე (2021) დაყრდნობით, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა UNICEF-ის მხარდაჭერით მოამზადა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბავშვები კვლავაც ჩართულნი არიან სხვადასხვა ტიპის სამუშაოში სიღარიბის, ცუდი საცხოვრებელი პირობებისა და სხვა ფაქტორების გამო, რაც სერიოზულად აფერხებს მათ

სარგებლობას ადამიანის უფლებებით, მათ შორის, განათლების, ჯანმრთელობის, განვითარების, გართობისა და დასვენების უფლებებით. სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისები ბავშვთა შრომის სფეროში ძალიან მწირი და უკმარია. გარდა ამისა, არაეფექტიანი რეაგირების სისტემის გამო, ბავშვებს არ აქვთ წვდომა მათთვის საჭირო სერვისებზე.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშზე დაყრდნობით, კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ბავშვთა დასაქმება არაფორმალურ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე კვლავ ფართოდ არის გავრცელებული და ამ საკითხს არ უწევს ეფექტიან მონიტორინგს. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი იხსენებს, რომ ქართის 7§1 მუხლის თანახმად, 15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა ვრცელდება ყველა ეკონომიკურ სექტორზე, სოფლის მეურნეობის ჩათვლით, და ყველა სამუშაო ადგილზე, მათ შორის, საოჯახო საწარმოსა და კერძო საოჯახო მეურნეობაში მუშაობაზე. ის ასევე ეხება ეკონომიკური საქმიანობის ყველა ფორმას, მუშაკის სტატუსის მიუხედავად (მუშაკი, თვითდასაქმებული, ოჯახის უხელფასო დამხმარე თუ სხვა).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ეროვნულ ანგარიშზე გაკეთებულ კომენტარებზე დაყრდნობით, კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ 2021 წლის იანვრიდან დეკემბრამდე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში 18 საჩივარი შევიდა ბავშვთა შრომის/შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევებზე.

ვინაიდან ანგარიში არ შეიცავდა ინფორმაციას ბავშვის უფლებათა კოდექსის პრაქტიკაში განხორციელებაზე, ასევე, სახალხო დამცველის აპარატის კომენტარების გათვალისწინებით, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას იმ საფუძველით, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა პრაქტიკულად არ არის გარანტირებული ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში.

რაც შეეხება შეუსაბამობის მეორე საფუძველს, კომიტეტის მითითებით, 2020 წელს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 24-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს, რომ „14-დან 16 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს, ხოლო სამუშაო დღის განმავლობაში – 4 საათს.“ სახალხო დამცველის აპარატის კომენტარებზე დაყრდნობით, კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ არ შეცვლილა გარემოება, რომელშიც 14 წლის ბავშვებს ჯერ კიდევ აქვთ კვირაში 24 საათამდე მუშაობის უფლება. შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მსუბუქი სამუშაოს შესასრულებლად ნებადართული საათების რეგულირებისას არ არის გათვალისწინებული განსხვავება სასწავლო სემესტრებისა და სასკოლო არდადეგების პერიოდებს შორის. ვინაიდან კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მხოლოდ მსუბუქი სამუშაოს შესრულება კვირაში 24 საათის განმავლობაში და მხოლოდ სასკოლო არდადეგების დროს, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას შეუსაბამობის შესახებ.

რაც შეეხება შეუსაბამობის მესამე საფუძველს, კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2020 წელს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებათა ფარგლებში, მიღებულია კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ინსპექტირების წესებსა და საფუძვლებს და ადგენს, რომ გადაწყვეტილებებს ინსპექტირების ჩატარებაზე იღებს ბავშვთა შრომის ინსპექტორი. შრომის ინსპექტორს უფლება აქვს, შევიდეს ნებისმიერ სამუშაო ადგილზე, ან ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო სივრცეში, თავისუფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე და დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქართის 7§1 მუხლს, ვინაიდან:

- 15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა პრაქტიკულად არ არის გარანტირებული ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში;
- 15 წლამდე ასაკის ბავშვებს შეუძლიათ კვირაში 24 საათით მუშაობა სასწავლო სემესტრის პერიოდში, რაც მეტისმეტად დიდი დროა და, აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება მსუბუქ სამუშაოდ.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 2 – 18 წლამდე ასაკის პირთა სახიფათო ან არაჯანსაღ სამუშაოებზე დასაქმების აკრძალვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 7§2 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიას, ვინაიდან შრომის ინსპექტირებები, რომლებითაც მოწმდება 18 წლამდე ასაკის პირთა სახიფათო ან არაჯანსაღ სამუშაოებზე დასაქმების ამკრძალავ რეგულაციათა პრაქტიკაში დაცვა, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ტარდებოდა.

რაც შეეხება შრომის ინსპექციის საქმიანობას, კომიტეტი მიუთითებს თავის დასკვნაზე 7§1 მუხლის შესაბამისად. ანგარიშზე დაყრდნობით, კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ 2018-2021 წლების საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურმა გამოავლინა არასრულწლოვანთა მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმების 2 შემთხვევა სამშენებლო სექტორში. შრომის ინსპექტორებმა კომპანიის წარმომადგენლებს ადგილზევე აცნობეს, რომ ამით ირღვეოდა რეგულაციები და არასრულწლოვანები გაიყვანეს სამშენებლო მოედნიდან, ვინაიდან მშენებლობა მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი საქმიანობაა, რომელიც განსაკუთრებულად მაღალ რისკს შეიცავს. კომპანიის მიმართ გატარდა სამართლებრივი ზომები და მიღებულია გადაწყვეტილება სამუშაო პროცესის შეჩერებაზე.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 7§2 მუხლს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
*პუნქტი 3 – იმ ბავშვთა დასაქმების აკრძალვა, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ
სავალდებულო განათლება*

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 7§3 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 7§3 მუხლს, ვინაიდან:

- იმ ბავშვებისთვის ნებადართული ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დრო, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება, მეტისმეტად ხანგრძლივია და, აქედან გამომდინარე, ასეთი სამუშაო ვერ ჩაითვლება მსუბუქად;
- შრომის ინსპექტირებები, რომლებითაც მოწმდება იმ ბავშვთა მუშაობასთან დაკავშირებული რეგულაციების პრაქტიკაში დაცვა, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება, ძალიან შეზღუდული იყო და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ტარდებოდა.

რაც შეეხება შეუსაბამობის ზემოაღნიშნულ საფუძვლებს, კომიტეტი მიუთითებს თავის დასკვნაზე, 7§1 მუხლის შესაბამისად.

კომიტეტი იხსენებს, რომ 7§3 მუხლი ეხება სავალდებულო განათლების უფლების ეფექტიანად განხორციელებას. ამ დებულების თანახმად, უნდა არსებობდეს შესაბამისი გარანტიები, რათა ხელისუფლების ორგანოებს (შრომის ინსპექციის სამსახურს, სოციალურ და საგანმანათლებლო სამსახურებს) შეეძლოთ ბავშვის დაცვა ისეთი სამუშაოსგან, რომელმაც შეიძლება წაართვას განათლების უფლებით სრულად სარგებლობის საშუალება. სასწავლო სემესტრის განმავლობაში ბავშვისთვის ნებადართული მუშაობის დრო უნდა შეიზღუდოს, რათა არ აფერხებდეს მის სკოლაში სიარულს, ათვისების უნარს და საშინაო დავალების შესრულებას.

ბავშვთა შრომის შესახებ სპეციალურ ანგარიშზე (2021) დაყრდნობით, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა UNICEF-ის მხარდაჭერით მოამზადა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრია შემთხვევა, როდესაც ბავშვები სისტემატურად აცდენენ სკოლას ან წყვეტენ სწავლას მუშაობის მიზეზით, ან არ იღებენ განათლებას სეზონური სამუშაოს, საშინაო საქმეების, ან დროებითი შრომითი მიგრაციის გამო. გარდა ამისა, ყოველთვის არ ტარდება მონიტორინგი სკოლის გაცდენებზე და, შედეგად, ვერ აღირიცხება ბავშვთა შრომის ყველა შემთხვევა, რის გამოც ვერ მიიღება შესაბამისი ზომები ამასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველისვე მითითებით, ბავშვთა შრომა აიხსნება იმ ფაქტორითაც, რომ მშობლები ნაკლებად აცნობიერებენ ბავშვების საჭიროებებს. ხშირად მათ სათანადოდ არ ესმით, თუ რა ზიანი შეიძლება მიაღწეს ბავშვს სხვადასხვა მძიმე სამუშაოს შესრულებით, ან საშინაო საქმეების დავალებით იმ დროის განმავლობაში, რომელსაც განათლების მიღებას უნდა უთმობდნენ.

ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის მიხედვით, 5-13 წლის ბავშვის დასაქმება არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე, თუმცა, ასაკთან ერთად, დასაქმების დონე იზრდება, სასწავლო პროცესში ჩართულობა კი მცირდება. კერძოდ, მომუშავე ბავშვებში სწავლის მიტოვების მაჩვენებელი 10.1%-ია, ხოლო სახიფათო სამუშაოებზე დასაქმებულ ბავშვებში 16.1%. ამასთან შედარებით, არამომუშავე ბავშვებისთვის ეს მაჩვენებელი 1.4%-ს უტოლდება. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ბავშვთა შრომის გამო სკოლის გაცდენის ან სწავლის მიტოვების შემთხვევები ხშირია, ხოლო სკოლებში დანერგილი პრევენციის მექანიზმები – შედარებით ცოტა.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ბავშვები იძულებულნი არიან, გააცდინონ სკოლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის გამო. ეს პერიოდი შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე კვირა, ან მეტიც. ბავშვთა მიერ სწავლის მიტოვების პრობლემა წამოჭრილია სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებშიც. ამ ანგარიშების მიხედვით, სწავლის მიტოვების მაჩვენებელი სრულად არ არის გათვალისწინებული, რაც ხსნის, თუ რატომ არ ასახავს ოფიციალური სტატისტიკა ქვეყანაში არსებული ვითარების მასშტაბებს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წელს 293-მა ბავშვმა მიატოვა სწავლა მუშაობის გამო.

კომიტეტი იხსენებს, რომ 7§3 მუხლის თანახმად, უნდა არსებობდეს შესაბამისი გარანტიები, რათა ხელისუფლების ორგანოებს (შრომის ინსპექციის სამსახურს, სოციალურ და საგანმანათლებლო სამსახურებს) შეეძლოთ ბავშვის დაცვა ისეთი სამუშაოსგან, რომელმაც შეიძლება წაართვას განათლების უფლებით სრულად სარგებლობის საშუალება. კომიტეტის აზრით, საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ინსპექციას ჰქონდა ბავშვთა შრომაზე მონიტორინგის უფლება, რეალურად არსებულმა ვითარებამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევა, როდესაც ბავშვები, მუშაობის გამო, სრულად ვერ სარგებლობენ განათლების უფლებით. აქედან გამომდინარე, კომიტეტის აზრით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§3 მუხლს, იმ საფუძველით, რომ პრაქტიკაში არ არის გარანტირებული იმ ბავშვთა დასაქმების აკრძალვა, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§3 მუხლს, ვინაიდან პრაქტიკაში არ არის გარანტირებული იმ ბავშვთა დასაქმების აკრძალვა, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე

პუნქტი 4 – სამუშაო დრო

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში. ის ასევე აღნიშნავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარმოდგენილ კომენტარებს.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა კითხვები ქართის 7§4 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებად შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქართის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტი იხსენებს, რომ 7§4 მუხლის თანახმად, 18 წლამდე ასაკის პირებისთვის სამუშაო საათები უნდა შეიზღუდოს მათი განვითარების საჭიროებების, კერძოდ, პროფესიული მომზადების შესაბამისად.

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 7§4 მუხლს, ვინაიდან შრომის ინსპექტირებები, რომლებითაც მოწმდება, თუ როგორ არის დაცული პრაქტიკაში იმ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების სამუშაოსთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებსაც დასრულებული აქვთ სავალდებულო განათლება, ძალიან შეზღუდული იყო და მხოლოდ დამსაქმებლის თანხმობით ტარდებოდა (2019 წლის დასკვნები).

კომიტეტი იხსენებს, რომ ქართით გარანტირებულ უფლებათა ეფექტიანად დაცვას ვერ უზრუნველყოფს მხოლოდ კანონმდებლობა; კანონმდებლობა ეფექტიანად უნდა სრულდებოდეს პრაქტიკაში, მკაცრი ზედამხედველობით. შრომის ინსპექციამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ქართის მე-7 მუხლის ეფექტიანად განხორციელებაში (International Commission of Jurists (CIJ) v. Portugal, საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §§32). თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიუთითა, რომ საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა გაუფრთხილებელი ინსპექტირება.

შეუსაბამობის ამ დასკვნის საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წელს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებათა ფარგლებში, მიღებულია კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ინსპექტირების ჩატარების წესებსა და საფუძვლებს და ადგენს, რომ გადაწყვეტილებებს ინსპექტირების ჩატარებაზე იღებს ბავშვთა შრომის ინსპექტორი. შრომის ინსპექტორს უფლება აქვს, შევიდეს ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო სივრცეში, თავისუფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე და დღე-ღამის ნებისმიერ დროს. 2018-2021 წლების საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურმა, დაახლოებით, 4 050 ინსპექტირება ჩაატარა 2 500-მდე ობიექტზე, სადაც, ჯამში, 512 000 თანამშრომელი იყო დასაქმებული.

გარდა ამისა, ანგარიშში მითითებულია, რომ 2020 წელს შრომის ინსპექციის სამსახური განისაზღვრა შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ, რომელიც 2021 წელს ამოქმედდა და უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ჩაატაროს ინსპექტირება და სანქცია დააკისროს ობიექტს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარებზე დაყრდნობით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2021 წელს შრომის ინსპექციის სამსახურმა გამოავლინა ბავშვის შრომის შემთხვევა, მოითხოვა არასრულწლოვანის გაშვება კომპანიიდან და შეაჩერა კომპანიის ფუნქციონირება. კომიტეტი აღიარებს, რომ საანგარიშო პერიოდში არსებული შრომის

ინსპექცია მონიტორინგს უწევდა, თუ როგორ არის დაცული პრაქტიკაში იმ 18 წლამდე ახალგაზრდების სამუშაო დროის მარეგულირებელი რეგულაციები, რომლებსაც დასრულებული აქვთ სავალდებულო განათლება. ამრიგად, კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 7§4 მუხლს.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 7§4 მუხლს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე

პუნქტი 5 – სამართლიანი ხელფასი

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში. ის ასევე აღნიშნავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარმოდგენილ კომენტარებს.

კომიტეტი იხსენებს, რომ ამ მონიტორინგის ციკლის ფარგლებში სახელმწიფოებს ეთხოვათ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ქარტიის 7§5 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 7§5 მუხლს (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია შეუსაბამობის დასკვნასა და მიზნობრივ კითხვებზე პასუხად.

სამართლიანი ანაზღაურება ახალგაზრდა მუშაკებისა და შეგირდებისთვის

კომიტეტმა მანამდე დაასკვნა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 7§5 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ ახალგაზრდა მუშაკებისთვის გადახდილი მინიმალური ხელფასი და შეგირდებისთვის გადახდილი გასამრჯელო იყო სამართლიანი. ამ საფუძველით, შეუსაბამობა გრძელდება 2015 წლიდან (2015, 2017 და 2019 წლების დასკვნები). კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ შესაბამის ანგარიშებში არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია პრაქტიკაში ახალგაზრდა მუშაკებისთვის გადახდილ მინიმალურ გასამრჯელოზე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რათა კომიტეტს ის შეედარებინა შრომის საშუალო ანაზღაურებასთან.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში კანონმდებლობაში არ შესულა ცვლილება მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და მის განსახორციელებლად შემუშავებული 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ან ქმედებებს. თუმცა, ეს საკითხი გათვალისწინებულია 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით და მოიცავს ეკონომიკური მიზანშეწონილობის განხილვას სოციალური დიალოგის ფარგლებში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვას.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია მაინც არ იძლევა შეფასების საშუალებას, სამართლიანია თუ არა საქართველოში ახალგაზრდა მუშაკებისთვის გადახდილი ანაზღაურება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარებზე დაყრდნობით, კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ მართალია, დადგენილება შეიცავს ნორმას, რომელიც ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის გადახედვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, მისი ოდენობა არ შეცვლილა 1999 წლიდან დღემდე. იმის გათვალისწინებით, რომ ვითარება არ შეცვლილა, კომიტეტი იმეორებს თავის დასკვნას შეუსაბამობის შესახებ.

რაც შეეხება შეგირდთა შრომის ანაზღაურებას, ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასაანგარიშო პერიოდში, 2022 წელს, მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების შესახებ. დადგენილების თანახმად, სტუდენტსა და

საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის შეიძლება გაფორმდეს ორმაგი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს იმავე დაწესებულებაში სტუდენტის მიერ სწავლების შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას, ასევე, სტუდენტისთვის შესაბამისი ანაზღაურების გადახდას. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ასეთ პროგრამებზე 700 სტუდენტი ირიცხება, ხოლო შეგირდებისთვის გადახდილი ანაზღაურება განსხვავდება და მას განსაზღვრავს დამსაქმებელი.

კომიტეტი იმეორებს, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის 785 მუხლთან შესაბამისობის შესაფასებლად, მან მოითხოვა ინფორმაცია შეგირდებისთვის რეალურად გადახდილი ანაზღაურების წმინდა ღირებულებაზე შეგირდობის დასაწყისში და დასრულებისას (სოციალური გადასახადების გამოკლებით). ვინაიდან კომიტეტს არ მიუღია პასუხი ამ შეკითხვაზე, იგი იმეორებს თავის წინა დასკვნას.

სამართლიანი ანაზღაურება არანორმირებული სამუშაოსთვის

მონიტორინგის ამ ციკლის ფარგლებში, კომიტეტმა განახლებული ინფორმაცია მოითხოვა 18 წლამდე ასაკის პირებისთვის გადასახდელ წმინდა მინიმალურ ხელფასსა და შემწეობებზე. კერძოდ, მან მოითხოვა ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც გატარდა სამართლიანი ანაზღაურების გადასახდელად იმ ახალგაზრდა მუშაკებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან:

i) არანორმირებულ სამუშაოებზე (არასრულ განაკვეთზე მუშაობა, დროებითი სამუშაო, მუშაობა ფიქსირებული ვადით, შემთხვევითი და სეზონური სამუშაო, თვითდასაქმებული პირები, დამოუკიდებელი მუშაკები და საშინაო საქმეებზე მომუშავე პირები);

ii) „გიგეკონომიკის“ ან „პლატფორმული ეკონომიკის“ სექტორში;

iii) საათობრივი ანაზღაურების ხელშეკრულებებით.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია.

აღსრულება

ამ მონიტორინგის ციკლის კონტექსტში კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია იმ ზომებზეც, რომლებიც გატარდა ახალგაზრდების მიერ სამართლიანი ანაზღაურების უფლების ეფექტიანად განხორციელებისთვის (მაგ. შრომის ინსპექციისა და მსგავსი აღმასრულებელი ორგანოების, ასევე, პროფესიული კავშირების საშუალებით).

დასკვნაში აღნიშნულია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებულ ინსპექტირებას არ გამოუვლენია არასრულწლოვანთა შრომის ანაზღაურების უფლების დარღვევები.

კომიტეტი იხსენებს, რომ ქარტიით გარანტირებულ უფლებათა ეფექტიანად დაცვას ვერ უზრუნველყოფს მხოლოდ კანონმდებლობა; კანონმდებლობა ეფექტიანად უნდა სრულდებოდეს პრაქტიკაში, მკაცრი ზედამხედველობით. შრომის ინსპექციამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ქარტიის მე-7 მუხლის ეფექტიანად განხორციელებაში (International Commission of Jurists (CIJ) v. Portugal, საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32). კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ამ კუთხით ქარტიასთან შესაბამისობის შესაფასებლად, საჭიროა ინფორმაცია შესაბამის აღმასრულებელ ორგანოთა კომპეტენციებსა და საქმიანობაზე, ჩატარებულ ინსპექტირებათა რაოდენობაზე, ჩატარდა თუ არა ინსპექტირება წინასწარი შეტყობინების გარეშე, ასევე, იმ სანქციების ტიპებზე, რომლებიც შეიძლება დაეკისროთ ობიექტებს.

ვინაიდან ეს ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§5 მუხლს.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§5 მუხლს, ვინაიდან:

- ახალგაზრდა მუშაკებისთვის გადახდილი მინიმალური ხელფასი არ არის სამართლიანი;
- შეგირდებისთვის გადახდილი გასამრჯელო არაადეკვატურია.

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§5 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

საკითხების ჩამონათვალი:

- ახალგაზრდა მუშაკებისთვის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;
- შესაბამის აღმასრულებელ ორგანოთა კომპეტენციები და საქმიანობა, ჩატარებულ ინსპექტირებათა რაოდენობა, ჩატარდა თუ არა ინსპექტირება წინასწარი შეტყობინების გარეშე, იმ სანქციების ტიპები, რომლებიც შეიძლება დაეკისროთ ობიექტებს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 6 – პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დროის ჩათვლა ჩვეულებრივ სამუშაო დროში

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა კითხვები ქარტიის 786 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვით მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტი იხსენებს, რომ 786 მუხლის თანახმად, ჩვეულებრივ სამუშაო საათებში ახალგაზრდების მიერ პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დრო უნდა ჩაითვალოს სამუშაო დღის ნაწილად (დასკვნები XV-2 (2001), ნიდერლანდები). არსებითად, ასეთი პროფესიული მომზადება უნდა ჩატარდეს დამსაქმებლის თანხმობით და უკავშირდებოდეს ახალგაზრდის სამუშაოს. ამგვარად, პროფესიული მომზადების საათები უნდა ანაზღაურდეს როგორც ჩვეულებრივი სამუშაო დრო და არ უნდა არსებობდეს მომზადებაზე დახარჯული დროის დამატებითი მუშაობით კომპენსირების ვალდებულება, რაც ეფექტიანად გაზრდის ნამუშევარი საათების საერთო რაოდენობას (დასკვნები V (1977), განცხადება 786 მუხლის განმარტების შესახებ). აღნიშნული უფლება ვრცელდება იმ პროფესიულ მომზადებაზეც, რომელსაც ახალგაზრდები გადიან დამსაქმებლის თანხმობით და რომელიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოს, თუმცა აუცილებელი არ არის, აფინანსებდეს დამსაქმებელი.

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 786 მუხლს, ვინაიდან პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დრო არ ითვლებოდა ჩვეულებრივ სამუშაო დროში (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, შრომის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც თანაბრად ვრცელდება 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებსა და ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის დასაქმებულებზე. 22-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელმა ხელი უნდა შეუწყოს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას. შრომის კოდექსის შესაბამისად, „თუ პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა სასწავლო კურსში დასაქმებულის მონაწილეობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი, ამ კურსში დასაქმებულის მონაწილეობა სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.“ ანგარიშის თანახმად, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებულ ინსპექტირებას არ გამოუვლენია 18 წლამდე არასრულწლოვანთა პროფესიული განვითარების უფლების დარღვევები.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 786 მუხლს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 7 – ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 7§7 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტმა გადადო წინა დასკვნის გამოტანა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე (2019 წლის დასკვნები).

კომიტეტმა განმარტებები ითხოვა იმ სამართლებრივ დებულებებზე, რომლებიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდა მუშაკებს, სხვა დროს აიღონ დღეები, რომლებიც ვერ გამოიყენეს შვებულებაში ყოფნისას ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო. დასკვნა ეხება შრომის კოდექსის 32-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ყოველწლიური შვებულება არ უნდა მოიცავდეს დროებითი შრომისუუნარობის პერიოდს. გარდა ამისა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის N 87/ნ ბრძანების („დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“) 4 (6) მუხლის თანახმად, ყველა თანამშრომელს, მათ შორის, 18 წლამდე ახალგაზრდა მუშაკებს, უფლება აქვთ, ანაზღაურებადი შვებულების პერიოდში ავად ყოფნის შემთხვევაში, შვებულების გამოუყენებელი დღეები გადაიტანოს სხვა დროისთვის, დროებითი შრომისუუნარობის პერიოდის დასრულების შემდეგ.

კომიტეტმა ინფორმაცია მოითხოვა შესაბამის ორგანოთა მონიტორინგულ საქმიანობაზეც, გამოვლენილ დარღვევათა რაოდენობასა და ბუნებაზე, ასევე, ანაზღაურებად შვებულებასთან დაკავშირებულ რეგულაციათა დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციებზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ 2021 წელს ჩატარებულ მონიტორინგს არ გამოუვლენია 18 წლამდე ახალგაზრდა მუშაკთა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლების დარღვევები.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 7§7 მუხლს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 8 – ღამის სამუშაოზე დასაქმების აკრძალვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 7§8 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 7§8 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ არსებობდა შრომის ინსპექციის ეფექტიანი და ეფექტური სისტემა, რომელიც გააკონტროლებდა, თუ როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკაში 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ღამის სამუშაოებზე დასაქმების ამკრძალავი რეგულაციები (2019 წლის დასკვნები).

კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია ღამის სამუშაოს აკრძალვასთან დაკავშირებულ გამონაკლისებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო შრომის კოდექსის 28-ე მუხლით. ანგარიშში განმარტებულია, რომ გამონაკლისი არ ეხება ახალგაზრდა მუშაკებს, ის ვრცელდება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა ან სამ წლამდე ასაკის ბავშვთა მშობლებზე, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ღამის სამუშაოზე.

კომიტეტმა იკითხა, იყო თუ არა დადგენილი რაიმე გამონაკლისი გარკვეულ პროფესიებში ახალგაზრდა მუშაკთა ღამის სამუშაოზე დასაქმებასთან მიმართებით და რამდენ ახალგაზრდა მუშაკზე ვრცელდებოდა ეს გამონაკლისი. ამ თვალსაზრისით, კომიტეტმა გაიხსენა, რომ გამონაკლისი შეიძლება დაიშვას გარკვეულ პროფესიებში, თუ ეს ცალსახად არის გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით, აუცილებელია ეკონომიკური სექტორის სათანადო ფუნქციონირებისთვის და ამგვარად დასაქმებულ ახალგაზრდა მუშაკთა რაოდენობა მცირეა (დასკვნები XVII-2 (2005), მალტა). ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ახალგაზრდა მუშაკთა ღამის სამუშაოზე დასაქმების აკრძალვა ვრცელდება ყველა სექტორზე, გამონაკლისის გარეშე.

თუმცა, ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 წელს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებაზე, სადაც „ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ნებისმიერი პირი, რომელიც ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში ღამის დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ, მუშაობს არანაკლებ 3 საათს, და ნებისმიერი პირი, რომელიც წლიური სამუშაო დროის განსაზღვრულ პროპორციულ ნაწილს მუშაობს ღამის დროის განმავლობაში“. იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში განსაზღვრულია, რომ ეს უკანასკნელი შეადგენს წლიური სამუშაო დროის არანაკლებ მეოთხედს. კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნული დებულებები შეიძლება განიმარტოს როგორც გამონაკლისი ახალგაზრდა მუშაკებისთვის ღამის სამუშაოს აკრძალვიდან, აქედან გამომდინარე, კვლავ აქტიურია მანამდე დასმული კითხვა, თუ რამდენ ახალგაზრდა მუშაკზე ვრცელდება ეს გამონაკლისი.

ვინაიდან არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ რამდენ 18 წლამდე ახალგაზრდა მუშაკზე ვრცელდება გამონაკლისები ღამის სამუშაოს აკრძალვიდან, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი გამონაკლისების დაშვება აუცილებელია ეკონომიკის გარკვეული სექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის, კომიტეტი ასკვნის, რომ

საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§8 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

რაც შეეხება წინა დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ახლად შექმნილი შრომის ინსპექციის სამსახური, რომელსაც ევალება დასაქმების სტანდარტთა ეფექტიანად განხორციელება, ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვარს. ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ 2021 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ჩატარებულ ინსპექტირებას არ გამოუვლენია ახალგაზრდა მუშაკთა ღამის სამუშაოზე დასაქმების აკრძალვის დარღვევები.

დასკვნა

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§8 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

გამოტოვებული კითხვების/ინფორმაციის ჩამონათვალი:

- 18 წლამდე ახალგაზრდა მუშაკთა რაოდენობა/წილი, რომლებზეც ვრცელდება გამონაკლისი ღამის სამუშაოზე დასაქმების აკრძალვიდან;
- ინფორმაცია, რომ ეს გამონაკლისები აუცილებელია ეკონომიკის შესაბამისი სექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 9 – რეგულარული სამედიცინო შემოწმება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 789 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 789 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ 18 წლამდე ასაკის პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობითა და რეგულაციებით განსაზღვრულ სამუშაოებზე, სამსახურში აყვანისას უტარდებათ პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო შემდეგ – რეგულარული სამედიცინო შემოწმება (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წლის 30 ნოემბერს იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიიღო ბრძანება, სადაც ჩამოთვლილია ის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოები, რომელთა შესრულებაც ეკრძალებათ 18 წლამდე ასაკის პირებს, ასევე, განსაზღვრულია დამსაქმებელთა მოვალეობები ახალგაზრდა მუშაკების მიმართ, სამედიცინო შემოწმების წესი და დასაქმებულთა გადამზადების მოთხოვნები. ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მუშაკებს სამუშაოს დაწყებამდე და ამის შემდეგ ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეთ წინასწარი და რეგულარული სამედიცინო შემოწმება, რისი მიზანიც არის განვითარების შეფერხების ან ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენა, ასევე, განსაზღვრა, შეუძლიათ თუ არა მათ მუშაობა და რამდენად შეესაბამება მათი ფუნქციური შესაძლებლობები შესაბამის სამუშაო მოთხოვნებს. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ გაუვლიათ წინასწარი სამედიცინო შემოწმება და რომელთა სახელზეც არ გაცემულა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მუშაობა ეკრძალებათ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 789 მუხლს.

მუხლი 7 – ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე
პუნქტი 10 – სპეციალური დაცვა ფიზიკური და მორალური ზიანისგან

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახელმწიფოებს ეთხოვთ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეხება ქართის 7§10 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქართის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 7§10 მუხლს, ვინაიდან არ იყო კრიმინალიზებული სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა და ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო ჩართული ბავშვთა შრომასა და სახიფათო სამუშაოებში (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობის დასკვნასა და მიზნობრივ კითხვებზე პასუხად.

დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან

კომიტეტმა მანამდე დაასკვნა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 7§10 მუხლს, ვინაიდან არ იყო კრიმინალიზებული სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა. კომიტეტმა ასევე მოითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშში წარმოდგენილიყო ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც მიღებულია ამომწურავი და სანდო მონაცემების შესაგროვებლად ბავშვებზე სექსუალური ძალადობის, ასევე, ბავშვთა ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმისა და მასშტაბის შესახებ საქართველოში (2019 წლის დასკვნები).

მიზნობრივი კითხვებით კომიტეტმა განახლებული ინფორმაცია მოითხოვა ზომებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში მიღებულია ბავშვების, მათ შორის, მიგრანტი, ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დაცვის გასაუმჯობესებლად (განსაკუთრებით, Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკების საპასუხოდ), ასევე, ამგვარი ძალადობისა და ექსპლუატაციის შემთხვევებზე.

ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია ჯერ კიდევ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება, სუტენიორობის კრიმინალიზაცია მოხდა 2018 წელს. 2020 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლს დაემატა ბავშვთა პორნოგრაფიის ექსპორტისა და იმპორტის დანაშაული. ასევე კრიმინალიზებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობა. ანგარიშში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვნებით ვაჭრობის შესახებ. მაგალითად, 2018 წელს პასუხისგებაში მიეცა ორი პირი, 2019 წელს – ასევე ორი, ხოლო 2020 წელს – ოცდაცხრა.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ კრიმინალიზებულია ბავშვის მომზადება სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩასადენად, ასევე, ბავშვთა პორნოგრაფიის იმპორტი და ექსპორტი და 18 წლამდე პირის დაქირავება პროსტიტუციის მიზნით.

მიზნობრივი კითხვის პასუხად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. შეიქმნა მობილური ჯგუფები, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს ქვეყნის მასშტაბით. ამ ჯგუფების

სამუშაოა ტრეფიკინგის საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა შემოწმება, ასევე, იმ ადგილებისაც, სადაც შეიძლება ხდებოდეს არასრულწლოვანთა ვაჭრობისა და ადამიანთა ვაჭრობის შემთხვევები.

კომიტეტი მიუთითებს სპეციალურ ანგარიშზე ბავშვთა შრომის შესახებ, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა UNICEF-ის მხარდაჭერით მოამზადა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში და 2021 წლის შემდეგ და სადაც აღნიშნულია, რომ მობილური ჯგუფები დიდ ქალაქებში არ ფუნქციონირებენ.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2020 წლის 17 მარტს ქვეყანამ მიიღო კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომლის თანახმადაც, ამ ტიპის დანაშაულისთვის მსჯავრდებულ ნებისმიერ პირს შეიძლება აეკრძალოს მუშაობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლაში და ა.შ.

ანგარიშის თანახმად, მიგრაციის დეპარტამენტში არიან სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტული საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როგორებიც არიან არასრულწლოვანები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანები და ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირები. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის საკითხებზე.

გარდა ამისა, ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საქართველოს მთავრობისთვის. ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს საქართველო განიხილავს დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მსხვერპლთა პროაქტიულად იდენტიფიცირების გაუმჯობესება. ამგვარად, ინსპექტირების 6 მობილური ჯგუფი რეგულარულად მუშაობს მაღალი რისკის ზონებში. შრომის ინსპექციის სამსახური იძიებს იძულებითი შრომის საქმეებსაც. ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმები ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების შესახებ. 2021 წლიდან ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლს შეუძლია, პირდაპირ მიიღოს ერთჯერადი კომპენსაცია, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. 2020 წლის 17 სექტემბერს დამტკიცდა ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობით ეხმარება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებს. 2021 წელს 1904 განაცხადი შევიდა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხზე, 618 შემთხვევა დადასტურდა და 72 ბავშვი გადაეცა სახელმწიფო მზრუნველობაში.

თავის კომენტარებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნავს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონის მიღება მისასალმებელია, თუმცა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობასთან დაკავშირებით, ეროვნულ კანონმდებლობაში კვლავ არის გარკვეული ხარვეზები. ამასთან, პასუხისმგებლობაში არ მიეცემიან პირები, რომლებიც სარგებლობენ პროსტიტუციაში ჩართული 16-17 წლის ბავშვების მომსახურებით, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება პროსტიტუციისთვის შესაძლებელია 16 წლის ასაკიდან. შესაბამისად, ამ ასაკის ბავშვი ითვლება სამართალდამრღვევად და არა მსხვერპლად. კომენტარებში ასევე აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებში ხარვეზები გამოვლინდა მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით.

კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§10 მუხლს, ვინაიდან არ არის კრიმინალიზებული ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა.

დაცვა საინფორმაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებისგან

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა ინფორმაცია მოითხოვა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოსა ან სხვა შესაბამისი სამსახურის ფუნქციონირებაზე, ასევე, იმ ღონისძიებათა შედეგებზე, რომლებიც გაატარეს ბავშვთა დასაცავად საინფორმაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებისგან (2019 წლის დასკვნები).

თავის მიზნობრივ კითხვაში კომიტეტმა ინფორმაცია მოითხოვა ბავშვთა დაცვაზე ყველა ფორმის ძალადობისგან, ექსპლუატაციისა და შევიწროებისგან ციფრულ გარემოში, კერძოდ კი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან და სექსუალური მიზნებით წაქეზებისგან („ბავშვის მომზადება“).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო აქტიურად მუშაობს ონლაინ სივრცეში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევათა გამოსავლენად და შესაბამის ზომებს ატარებს ამგვარ დანაშაულთან ბრძოლისათვის. ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის ვებგვერდების გამოვლენის შემთხვევაში, ისინი იბლოკება. ამ სფეროში წესებს ადგენს დადგენილებაც, რომელიც ეხება ბავშვებისთვის საზიანო შინაარსის მქონე მასალის ონლაინ გამოქვეყნებას. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევისთვის, შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა. გარდა ამისა, ინტერნეტპროვაიდერებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმები, რომლებიც დაბლოკავს ან შეზღუდავს ბავშვთა წვდომას მათთვის სახიფათო ვებგვერდებზე. მსგავსი წესები ვრცელდება ინფორმაციის გავრცელებაზეც.

მიზნობრივი კითხვის პასუხად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას პორნოგრაფიული ნაწარმოების ან საგნების უკანონოდ დამზადებისა ან გასაღების. არასრულწლოვნის მომზადება ასევე ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 255² მუხლით კრიმინალიზებულია „სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზება მის მიმართ ამ კოდექსის 255-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით.“ 2018 წლიდან სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა პროსტიტუციის ხელშეწყობაც.

დაცვა ექსპლუატაციის სხვა ფორმებისგან

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 7§10 მუხლს, ვინაიდან ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო ჩართული ბავშვთა შრომასა და სახიფათო სამუშაოებში.

კომიტეტმა განახლებული ინფორმაცია მოითხოვა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მუშაობაზე. გარდა ამისა, მან მოითხოვა ინფორმაცია ქუჩაში მყოფ ბავშვთა რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ, თუ ეს ინფორმაცია არ მიეწოდებოდა მომდევნო ანგარიშში, ვერაფრით დადგინდებოდა მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიასთან. მან ინფორმაცია მოითხოვა იმ ზომებზეც, რომლებიც გატარდა ქუჩაში მყოფი ბავშვების დასაცავად, როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი გადაკეთდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტად. ამ დეპარტამენტს ევალება სწრაფი რეაგირება და ხარისხიანი გამომიების

ჩატარება ოჯახში ძალადობის, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანთა ვაჭრობის, არასრულწლოვანთა მიმართ/მიერ და დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებში. დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. შიდა კონტროლის მექანიზმი მოიცავს გამოძიების ხარისხის ყოველდღიურ მონიტორინგს დეპარტამენტის თანამშრომელთა მხრიდან, ელექტრონული საგამოძიებო პროგრამის საშუალებით; გარე კონტროლის მექანიზმი კი მოიცავს კონკრეტულ შემთხვევებზე ინფორმაციის მიღებას არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. 2019 წელს, დანაშაულის მსხვერპლთა ადეკვატურად დაცვის მიზნით, შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.

ანგარიშში წარმოდგენილია გარკვეული ინფორმაცია ქუჩაში მყოფი ბავშვების შესახებ. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები ერთ-ერთ დაუცველ ჯგუფად განისაზღვრა ადამიანთა ვაჭრობისთვის. ასეთ ბავშვებთან 8 მობილური ჯგუფი მუშაობს. 2021 წლის აგვისტოდან მობილური ჯგუფები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ მიუსაფარ ბავშვთა საკითხებზე, მათ შორის, სავსე პირობებში და მზრუნველობამოკლებულ არასრულწლოვნებთან. 2018-2022 წლებში დახმარება ქუჩაში მყოფ 1324 ბავშვს გაეწია.

კომიტეტი მიუთითებს სპეციალურ ანგარიშზე ბავშვთა შრომის შესახებ, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა UNICEF-ის მხარდაჭერით მოამზადა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში და 2021 წლის შემდეგ. მასში აღნიშნულია, რომ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა რეგისტრაციის მექანიზმი სუსტია, რის გამოც შეუძლებელი ხდება პრობლემის რეალური მასშტაბის დადგენა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ქალაქებში და მათში ჩართული ბავშვების 87.8% მუშაობს ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემოში.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია წინა დასკვნაზე შეუსაბამობის შესახებ. ამგვარად, კომიტეტი იმეორებს, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§10 მუხლს, ვინაიდან ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობაა ჩართული ბავშვთა შრომასა და სახიფათო სამუშაოებში.

Covid-19-ის პანდემია

Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში, კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია, რომელიც შეხება პანდემიის გავლენას ბავშვთა ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის მონიტორინგზე, ასევე, მონიტორინგის მექანიზმთა გასაძლიერებლად გატარებულ ზომებს.

კომიტეტი იხსენებს, რომ ქარტიის 7§10 მუხლი უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვას სექსუალური და სხვა სახის ექსპლუატაციისგან, ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებისგან (ისეთი მიზნებით, როგორცაა ონლაინსივრცეში ჩაგვრა, ბავშვთა პორნოგრაფია, ბავშვის მომზადება სექსუალური დანაშაულისთვის, შევიწროება და ა.შ.). ეს განსაკუთრებით აქტუალურია გაციფრულებისა და ონლაინაქტიურობის ზრდის პირობებში, რაც გამოიწვია პანდემიამ (განცხადება Covid-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ, 2021 წლის 24 მარტი).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ პანდემიის დროს დანაშაულებმა ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ონლაინპლატფორმებზე მონიტორინგი და გამოავლინა პროსტიტუციის ხელშემწყობი ვებგვერდი. ვებგვერდის დამფუძნებელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო ვებგვერდი დაიბლოკა. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ საჭირო ზომები მიიღო ბენეფიციართა ჯანმრთელობის

დასაცავად, ასევე, კრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებში ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის.

კომიტეტი მიუთითებს სპეციალურ ანგარიშზე ბავშვთა შრომის შესახებ, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა UNICEF-ის მხარდაჭერით მოამზადა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში და 2021 წლის შემდეგ და სადაც აღნიშნულია, რომ პანდემიის პერიოდში გამოვლინდა ბავშვთა შრომის მძიმე ფორმები.

თავის კომენტარებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აცხადებს, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, იზოლაციამ და კერძო საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვამ გაზარდა ბავშვებზე ძალადობის რისკები. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ძალადობის შემთხვევათა შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების ან გადაცემის მაჩვენებელი.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 7§10 მუხლს, ვინაიდან:

- არ არის კრიმინალიზებული ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმა;
- ბავშვთა შრომასა და სახიფათო სამუშაოებში ჩართულია ბავშვების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მუხლი 8 – დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება

პუნქტი 3 – მეძუძური დედების მიერ შესვენების გამოყენების უფლება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 89 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

მას არ განუხილავს 2023 წელს არსებული მდგომარეობა ამ მიმართულებით, ვინაიდან, წინა დასკვნის თანახმად, საქართველოში არსებული მდგომარეობა, ამ კუთხით, შეესაბამებოდა ქარტიის დებულებებს.

აქედან გამომდინარე, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 89 მუხლს.

მუხლი 8 – დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება

პუნქტი 4 – ღამის სამუშაოებზე დასაქმების რეგულირება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახელმწიფოებს ეთხოვათ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ქარტიის 8§4 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 8§4 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ ღამის სამუშაოებთან დაკავშირებული რეგულაციები საკმარისად იცავდა ორსულ, ახალნამშობიარე ან მეძუძურ დასაქმებულ ქალებს, განსაკუთრებით, იმ თვალსაზრისით, შეეძლოთ თუ არა ასეთ ქალებს შვებულების აღება შესაბამისი ალტერნატიული სამუშაოს არარსებობის შემთხვევაში (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობის დასკვნასა და მიზნობრივ კითხვაზე პასუხად.

თავის მიზნობრივ კითხვაში კომიტეტმა მოითხოვა დადასტურება, რომ სამუშაო პირობების ცვლილება ან სხვა პოზიციაზე გადაყვანა არ იწვევდა ანაზღაურების დაკარგვას და, ორსულობასა და დედობასთან დაკავშირებით სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში, ქალს ჰქონდა ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წელს შესწორებული შრომის კოდექსის თანახმად, ორსული, ახალნამშობიარე ან მეძუძური ქალების ღამის სამუშაოზე დასაქმება აკრძალულია. კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ ამ ქალებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ალტერნატიულ სამუშაოზე დასაქმება იმავე დაწესებულებაში.

ანგარიშის თანახმად, შვებულების შემთხვევაში ქალისთვის გადასახდელი შრომის ანაზღაურების საკითხი გადაწყდება დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმებით. კომიტეტის აზრით, ეს არ არის გარანტია, რომ დედობასთან დაკავშირებით ღამის სამუშაოდან გათავისუფლებულ ქალებს აქვთ წინანდელი საშუალო ხელფასის მიღების უფლება. ამიტომ, იგი ასკვნის, რომ ამ კუთხით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიას.

კომიტეტის მითითებით, სახალხო დამცველის კომენტარები ადასტურებს, რომ დროებით შვებულებაში მყოფ ქალს არ აქვს წინანდელი ხელფასის მიღების უფლება.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 8§4 მუხლს, ვინაიდან ორსულ, ახალნამშობიარე ან მეძუძურ ქალებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ღამის სამუშაოს, არ არიან უზრუნველყოფილნი ალტერნატიული სამუშაოთი და იძულებულნი არიან, აიღონ შვებულება, არ აქვთ წინანდელი ხელფასის 100%-ით მიღების უფლება.

მუხლი 8 – დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება

პუნქტი 5 – საშიშპირობებიანი, მავნე ან მძიმე სამუშაოს აკრძალვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფოებს ეთხოვთ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ქარტიის 8§5 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 8§5 მუხლს, ვინაიდან არ არსებობდა ადეკვატური რეგულაციები ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალების საშიშპირობებიან, მავნე ან მძიმე სამუშაოზე დასაქმების შესახებ (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობის დასკვნასა და მიზნობრივ კითხვაზე პასუხად.

თავის მიზნობრივ კითხვაში კომიტეტმა მოითხოვა დადასტურება, რომ სამუშაო პირობების ცვლილება ან სხვა პოზიციაზე გადაყვანა არ იწვევდა ანაზღაურების დაკარგვას, და ორსულობასა და დედობასთან დაკავშირებით სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში ქალს ჰქონდა უფლება, აეღო ანაზღაურებადი შვებულება და, როგორც კი ფიზიკურად შეძლებდა, დაბრუნებულიყო თავის სამსახურში.

ანგარიშის თანახმად, შრომის კოდექსი კრძალავს ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალთა დასაქმებას მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე. ამავე აკრძალვას ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. მავნე სამუშაოების ჩამონათვალი დადგენილია N 01-20/5 ბრძანებით, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივას (სამუშაო ადგილზე ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობი ზომების მიღების შესახებ).

კანონი განსაზღვრავს სამუშაოს, რომელიც მავნე ან/და განსაკუთრებულად სარისკოა ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალებისთვის. ამ მიზნით, ის ადგენს ფაქტორებს და აღწერს სამუშაო პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალების, ასევე, ბავშვების ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

ანგარიშში 8§4 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2020 წელს შესწორებული შრომის კოდექსის თანახმად, თუ ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალები ვერ ასრულებენ თავიანთ სამუშაოს საკუთარი მდგომარეობის გამო, მათ უფლება აქვთ, მოითხოვონ ალტერნატიული სამუშაო იმავე დაწესებულებაში.

სახალხო დამცველის კომენტარებზე დაყრდნობით, რომლებიც უკავშირდება ორსულობის, ახალნამშობიარებ და მეძუძურობის პერიოდში ქალების დროებით გადაყვანას მათი მდგომარეობის შესაფერის სამუშაოზე ანაზღაურების დაკარგვის გარეშე, აღნიშნულია, რომ სხვა სამუშაოზე გადაყვანის უფლება უზრუნველყოფილია შრომის კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით, ისე, რომ ცალსახად არ არის მითითებული წინა ხელფასის შენარჩუნების უფლება. თუმცა, მუხლში დამატებულია, რომ მანამდე გადახდილი ხელფასის ოდენობის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა

შეთანხმებით.

ანგარიშის თანახმად, შვებულების შემთხვევაში ქალისთვის გადასახდელი შრომის ანაზღაურების საკითხი გადაწყდება დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმებით. კომიტეტის აზრით, ეს არ არის გარანტია, რომ დედობასთან დაკავშირებით საშიშპირობებიანი და არაჯანსაღი სამუშაოდან გათავისუფლებულ ქალებს აქვთ წინანდელი საშუალო ხელფასის მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიას.

კომიტეტის თანახმად, სახალხო დამცველის კომენტარები ადასტურებს, რომ დროებით შვებულებაში მყოფ ქალს არ აქვს წინანდელი ხელფასის მიღების უფლება.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 885 მუხლს, ვინაიდან ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალებს, რომელთა სამსახურიც შეუფერებლად მიიჩნევა მათი მდგომარეობისთვის, რომლებსაც ვერ სთავაზობენ შესაბამის ალტერნატიულ სამსახურს და რომლებიც ვალდებულნი არიან, ისარგებლონ შვებულებით, არ აქვთ წინანდელი ხელფასის 100%-ის მიღების უფლება.

მუხლი 17 – ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება

პუნქტი 1 – დახმარება, განათლება და ტრენინგი

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახელმწიფოებს ეთხოვთ პასუხის გაცემა მიზნობრივ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ქართის 17§1 მუხლს, ასევე, საჭიროებისამებრ, წინა დასკვნებს შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქართის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტი ასევე იხსენებს, რომ 2019 წლის დასკვნების ზოგად შესავალში, 17§1 მუხლის ფარგლებში, მან დასვა ზოგადი კითხვები და სახელმწიფოებს სთხოვა, მომდევნო ანგარიშში წარმოედგინათ ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც მიღებულია: მოქალაქეობის არქონის მაჩვენებლის შესამცირებლად; დაბადების რეგისტრაციის ხელშესაწყობად განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ბოშები, თავშესაფრის მაძიებლები და არალეგალური მიგრაციის პირობებში მყოფი ბავშვები; ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად; დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და თანაბარი შესაძლებლობების ხელშესაწყობად განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისთვის. მან ასევე ითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ბავშვების მონაწილეობა ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში.

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 17§1 მუხლს, ვინაიდან ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა არ იყო აკრძალული ყველა გარემოში (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობის დასკვნაზე, მიზნობრივ კითხვებსა და ზოგად კითხვაზე პასუხად.

ბავშვის სამართლებრივი სტატუსი

ზოგად კითხვებში კომიტეტმა ინფორმაცია მოითხოვა ზომებზე, რომლებიც სახელმწიფომ მიიღო მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შესამცირებლად (მაგ. მოქალაქეობის არმქონე ყველა მიგრანტი ბავშვის იდენტიფიცირება, მოქალაქეობის მისაღები პროცედურების გამარტივება და დაბადებისას დაურეგისტრირებელ ბავშვთა გამოვლენა). მან ასევე ითხოვა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ დაბადების რეგისტრაციის ხელშესაწყობად მიღებულ ზომებზე, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან ბოშები, თავშესაფრის მაძიებლები და არალეგალური მიგრაციის პირობებში მყოფი ბავშვები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ადგენს მექანიზმებს არასრულწლოვანთა მოქალაქეობის არქონის პრევენციისა და შემცირებისათვის. არასრულწლოვანი საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებს დაბადებით. კერძოდ, თუ: მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა; ის დაიბადა სუროგაციით გარკვეულ პირობებში; ორივე მშობელი მოქალაქეობის არმქონე პირია, მაგრამ ის დაიბადა საქართველოში; ერთი მშობელი მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მეორე მშობელი უცნობია და ის დაიბადა საქართველოში; ან ორივე მშობელი

უცნობია და არასრულწლოვანი ცხოვრობს საქართველოში - ის არის საქართველოს მოქალაქე, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად, გამარტივებული რეჟიმი დაინერგა საქართველოში დაბადებული არასრულწლოვანი ლტოლვილებისთვის. 2018-2021 წლებში მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა 570-დან 530-მდე შემცირდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თავის კომენტარში აცხადებს, რომ მოქალაქეობის არქონის შესამცირებლად და დაბადების რეგისტრაციის გასამარტივებლად მიღებული ზომები საკმარისი არ არის. ამ საკითხზე მთავრობას პასუხი არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება დაბადების რეგისტრაციას, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო რეგისტრაცია საქართველოში ძირითად საჯარო მომსახურებად მიიჩნევა. დაბადების რეგისტრაცია ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობას დაბადების შესახებ ან/და უფლებამოსილი პირის განცხადებას.

არასათანადო მოპყრობისა და ძალადობისგან დაცვა

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 17§1 მუხლს, ვინაიდან ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა არ იყო აკრძალული ყველა გარემოში (2019 წლის დასკვნები).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ბავშვებს ფიზიკურად ხშირად სჯიდნენ ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წინა დასკვნაზე შეუსაბამობის შესახებ, შესაბამისად, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას.

ბავშვთა სიღარიბე

ზოგად კითხვებში კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად გატარებულ ზომებზე (მათ შორის, არაფულად ღონისძიებებზე, როგორიცაა წვდომა ხარისხიან და ფინანსურად ხელმისაწვდომ სერვისებზე ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და სხვა სფეროებში); ასევე, იმ ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია დისკრიმინაციასთან ბრძოლა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ბავშვებისთვის განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორებიც არიან ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვები, ბოშა ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვები. კომიტეტმა ინფორმაცია ითხოვა იმაზეც, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ბავშვების მონაწილეობა ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუსაფარი ბავშვებისთვის საქართველოში ფუნქციონირებს შვიდი დღის ცენტრი და ექვსი თავშესაფარი. სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ელემენტია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამები. 2015 წლიდან გაიცემა ბავშვთა შემწეობა, რომელიც თანდათანობით იზრდება. 2019 წელს ამ შემწეობას იღებდა 16 წლამდე ასაკის 137 505 ბავშვი, ხოლო 2021 წელს ეს რიცხვი 173 326-მდე გაიზარდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და დამოკიდებული პირებისთვის გათვალისწინებულია სოციალური პაკეტი. ოჯახები ოთხი და მეტი შვილით იღებენ ელექტროენერგიის ვაუჩერებს. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან საკვებით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და დისკრიმინაციის გარეშე

სარგებლობს უფლებებით.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ბავშვებს უფლება აქვთ, საკუთარი აზრი გამოხატონ მათთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ სიღარიბის დონე იზრდება, ხოლო ბავშვთა სიღარიბის პრევენციისა და დაძლევის ცენტრალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო მხარდაჭერის სერვისები საკმარისად ეფექტიანი არ არის. გარდა ამისა, არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ბავშვებს განათლების სფეროშიც. ამ საკითხზე მთავრობას პასუხი არ წარმოუდგენია.

ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს 18 წლამდე ასაკის პირთა 25.5% იყო სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი 22.7%-მდე შემცირდა.

მხარე სახელმწიფოში ბავშვთა სიღარიბის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, იქნება ეს განსაზღვრული თუ გაზომილი ფულადი ან მრავალგანზომილებიანი თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გვიჩვენებს სახელმწიფოს ძალისხმევითა ეფექტიანობას ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, ქარტიის მე-17 მუხლის შესაბამისად. კონცეპტუალიზაციასა და გაზომვასთან დაკავშირებული მიდგომის შესაბამისად, რომელიც კომიტეტმა მიიღო 30-ე მუხლთან მიმართებით, მე-17 მუხლის მიზნებისთვის ის ბავშვთა სიღარიბეს განიხილავს როგორც შემოსავლის, ისე სიღარიბის მრავალგანზომილებიანი გაგებით (განმარტების შესახებ განცხადება, 2013 წელი, მუხლი 30). აღნიშნული ინტერპრეტაცია აისახება იმ ინდიკატორებსა და ელემენტებში, რომლებსაც კომიტეტი ითვალისწინებს მხარე სახელმწიფოს მე-17 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას. იმ სახელმწიფოთა შემთხვევაში, რომელთაც მე-17 მუხლი არ მიუღიათ, ბავშვთა სიღარიბე 30-ე მუხლის ფარგლებში განიხილება.

„ევროსტატის“ მონაცემებს და ევროკავშირის EU-27-ის მაჩვენებელს სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის საფრთხის ქვეშ მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით, კომიტეტი იყენებს ძირითად ათვლის წერტილად და სახელმწიფოს მიერ ქარტიით გარანტირებულ უფლებათა დაცვის ინდიკატორად. კომიტეტი ასევე ითვალისწინებს ვითარებას, როდესაც მხარე სახელმწიფოში არ უმჯობესდება სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის საფრთხის ქვეშ მყოფ ბავშვთა მაჩვენებელი. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის შესამცირებლად გატარებულ არაფულად ზომებს, როგორიცაა წვდომა ხარისხიან და ფინანსურად ხელმისაწვდომ სერვისებზე ჯანმრთელობის, განათლებისა და საცხოვრებელი უზრუნველყოფის სფეროებში. მე-17 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას, კომიტეტი ითვალისწინებს იმასაც, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ბავშვების მონაწილეობა ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში.

დახმარების უფლება

წინა დასკვნაში კომიტეტმა მთავრობას მიმართა კითხვით, თუ რა ღონისძიებები გატარდა არალეგალურ მიგრანტ ბავშვთა სათანადო გარემოში დასაბინავებლად. მან დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვებისთვის გაწეულ დახმარებაზეც, განსაკუთრებით, ექსპლუატაციისა და ძალადობისგან დასაცავად. კომიტეტმა ასევე მოითხოვა ინფორმაცია, შეიძლება თუ არა თავისუფლების აღკვეთა არალეგალური მიგრანტი ბავშვისთვის (რომელსაც ახლავს ან არ ახლავს მშობელი), და თუ ასეა, რა პირობებით. დაბოლოს, კომიტეტმა იკითხა, გამოიყენება თუ არა საქართველოში ძვლის ანალიზი ასაკის დასადგენად, და თუ ასეა, რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს

ასეთ ანალიზს (2019 წლის დასკვნები).

მიზნობრივი კითხვით, კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც გატარდა კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში ბავშვთა დასაცავად და დასახმარებლად.

წინა დასკვნაში დასმული კითხვების პასუხად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბავშვების დროებითი განთავსების ცენტრებში მოთავსება უკიდურესი ზომაა და მხოლოდ ცოტა ხნით უნდა გამოიყენებოდეს. ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფილია კანონიერი წარმომადგენლის/სოციალური მუშაკის დასწრება. თავიდან უნდა აიცილონ ოჯახის წევრებთან დაშორება. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ერევა ძალადობის შემთხვევებში და ეხმარება ბავშვებს, რომლებზეც ძალადობდნენ რეაბილიტაციის პროცესში.

ვინაიდან არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია, გამოიყენება თუ არა საქართველოში ძვლის ანალიზი ასაკის დასადგენად, და თუ ასეა, რა პირობებში და რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 17§1 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

მიზნობრივი კითხვის პასუხად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ არახელსაყრელი გარემოს არსებობისას სახელმწიფო ვალდებულია, ბავშვს შეუქმნას უსაფრთხო გარემო და ის მოათავსოს სახელმწიფო მზრუნველობაში. პრიორიტეტულია მინდობით აღსაზრდელად განთავსება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბავშვს აქვს ოჯახურ გარემოში გაზრდის შესაძლებლობა. კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბავშვთა მიტოვებისა და ოჯახისგან განცალკევების პრევენციას და ხელს უწყობს მათ გაზრდას ოჯახურ გარემოში.

სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა უფლებები

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა ითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშში მეტი ინფორმაცია წარმოედგინათ ახალ კანონმდებლობაზე და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობაზე, ასევე, მონაცემებზე, თუ რამდენი ბავშვი იყო განთავსებული მზრუნველობის დაწესებულებებსა და მიმღებ ოჯახებში. მან ასევე ითხოვა ინფორმაცია მიმღები ოჯახებისა და საცხოვრებელი დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ. კომიტეტმა მოუწოდა მთავრობას, კომენტარი გაეკეთებინა ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, შეზღუდული იყო წვდომა რელიგიური ორგანოების მიერ მართულ ბავშვთა სახლებზე და ასეთ დაწესებულებებზე არ ვრცელდებოდა სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნა. გარდა ამისა, კომიტეტი ეკითხებოდა მთავრობას, შეიძლებოდა თუ არა, ოჯახის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა გამხდარიყო მშობლის უფლების ჩამორთმევის ან შეჩერების ერთადერთი საფუძველი, და თუ ეს ინფორმაცია არ მიეწოდებოდა მომდევნო ანგარიშში, ვერაფრით დადგინდებოდა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შესაბამისობაშია ქარტიის 17§1 მუხლს (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2021 წელს დაიხურა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ერთ-ერთი დიდი დაწესებულება „კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი“ და ბავშვები გადანაწილდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო გეგმავს დიდი ბავშვთა სახლების ჩანაცვლებას ალტერნატიული სააღმზრდელო სერვისებით. 2018-2021 წლებში მინდობით აღზრდაში გადაიყვანეს 1449 არასრულწლოვანი, რომელთაგან 445 ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თავის კომენტარებში აღნიშნა, რომ სახელმწიფო ზრუნვის მომსახურების დანერგვა დიდ საცხოვრებელ დაწესებულებებში

აფერხებს ბავშვთა სოციალიზაციას, ასევე, მზადყოფნას სახელმწიფო მზრუნველობის დასატოვებლად, რადგან ისინი დახურულ და იზოლირებულ გარემოში იზრდებიან. ამასთან, 2021 წელს ნინოწმინდის სკოლა-პანსიონში ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა ბავშვთა უფლებების სისტემატური დარღვევები. ამ საკითხზე მთავრობას პასუხი არ წარმოუდგენია.

თავის კომენტარებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ აღნიშნეს, რომ სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფი მზრუნველობამოკლებული ბავშვები მწვავე დისკრიმინაციას, ძალადობასა და გულგრილობას განიცდიან. მაგალითად, 2019 წლის შემოდგომაზე საქართველოს სახალხო დამცველი არ დაუშვეს ერთ-ერთ (ნინოწმინდის) რელიგიურ სკოლა-პანსიონში, რომელიც ფუნქციონირებდა ბავშვთა მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ადგილობრივი ლიცენზირების წესების დარღვევით. 2013 წლიდან 1000-მდე ბავშვი განთავსდა რელიგიურ დაწესებულებებში, რომელთაგან ზოგი არ რეგულირდებოდა და არ ექვემდებარებოდა მთავრობის კონტროლს, ზოგი კი, ლიცენზირების მიუხედავად, არღვევდა კანონებს. 2021 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მიიღო დროებითი ზომა და მთავრობა აიძულა, სახალხო დამცველისთვის მიეცა ნინოწმინდის სკოლა-პანსიონში შესვლის უფლება. დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება იქ მცხოვრებ ბავშვთა წამების, გაუპატიურების, ასევე, მათ მიმართ ძალადობის ბრალდებით. საქართველოს არ მოუწოდებია ოფიციალური სტატისტიკა რელიგიურ საბავშვო დაწესებულებებში მყოფ ბავშვთა რაოდენობაზე, ან ანგარიშები ამ საკითხზე მონიტორინგის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობას პასუხი არ წარმოუდგენია.

კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 17§1 მუხლს, ვინაიდან რელიგიური ორგანოების მიერ მართულ ბავშვთა სახლებში ინსპექტირება შეზღუდულია და იქ მცხოვრები ბავშვები არ არიან საკმარისად დაცულნი ძალადობისა და შევიწროებისგან.

ვინაიდან არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია, შეიძლება თუ არა, ოჯახის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა იყოს მშობლის უფლების ჩამორთმევის ან შეჩერების ერთადერთი საფუძველი, ასევე, რა რაოდენობის ბავშვია განთავსებული ბავშვთა სახლებში, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 17§1 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

განათლების მიღების უფლება

ვინაიდან საქართველოს არ მიუღია ქარტიის 17§2 მუხლი, ამ დებულების ფარგლებში განიხილება განათლებასთან დაკავშირებული საკითხები.

კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც მიღებულია ბოშა ბავშვებისთვის განათლებაზე წვდომისა და შშმ ბავშვებისთვის ძირითად განათლებაზე წვდომის ხელშესაწყობად და აღნიშნა, რომ თუ ეს ინფორმაცია არ მიეწოდებოდა მომდევნო ანგარიშში, ვერაფრით დადგინდებოდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიის 17§1 მუხლთან. მან ასევე ითხოვა ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა ყველა ბავშვს, განურჩევლად ბინადრობის სტატუსისა, მათ შორის, არალეგალურ მიგრანტებს, სავალდებულო განათლების მიღების უფლება. დაბოლოს, კომიტეტი ითხოვდა ინფორმაციას სკოლაში დასწრების წასახალისებლად მიღებულ ზომებზე (2019 წლის დასკვნები).

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 და 2021 წლებში საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები ინკლუზიური განათლების საკითხებზე, რომელთა ძირითად თემა იყო ბავშვის განვითარების ეტაპები, განვითარების შეფერხება, ინკლუზიური განათლების პრინციპები, თამაში და ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები.

თავის კომენტარებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნავს, რომ სკოლის მასწავლებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და თავშესაფრის მამდიებელთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ენობრივი ბარიერი განსაკუთრებულად ართულებდა სასწავლო პროცესში ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას და ხელს უშლიდა მათ სრულ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, კვლავ პრობლემად რჩება ინკლუზიური განათლების ადეკვატური ხარისხი და უწყვეტობა, ასევე, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები. სხვა მხრივ, Covid-19-ის პანდემიის დროს გარკვეული პლატფორმები არ იყო ხელმისაწვდომი უსინათლო ბავშვებისთვის, ხოლო ონლაინსწავლებაზე გადასვლამ ტექნიკური პრობლემები შეუქმნა ყველა ბავშვს. ამ საკითხზე მთავრობას პასუხი არ წარმოუდგენია.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სრული ზოგადი განათლება უფასოა ყველა ბავშვისთვის, მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვის მიუხედავად. დაწყებითი და საშუალო განათლება სავალდებულოა. თითოეულმა სკოლამ მკაცრად უნდა გააკონტროლოს სკოლის სისტემატური გაცდენები. 2020 წლიდან, იმ ბავშვთა იდენტიფიცირება, რომლებიც სკოლაში არ დადიან, შესაძლებელია შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლით. მაგალითად, 611 ბავშვი არ იღებს სავალდებულო განათლებას პალიატიური მზრუნველობის ან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო, ხოლო 70 ბავშვი არ იღებს ფორმალურ განათლებას იმ თემის ეთნიკურ-კულტურული მახასიათებლების გამო, რომელშიც ცხოვრობენ: 25 ბავშვი ცხოვრობს ბოშათა თემში, ხოლო 45 – მომთაბარე აზერბაიჯანულ ოჯახებში. თუმცა, ზოგად განათლებას 400-მდე ბოშა ბავშვი იღებს. 2020-2021 სასწავლო წელს ჩატარდა რისკების შეფასება, რომელშიც 60 არასრულწლოვანი მონაწილეობდა ბოშათა ეთნიკური ჯგუფიდან. შეფასებით დადგინდა, რომ განათლების სისტემაში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი და სწავლის მიტოვების რისკი უკავშირდებოდა მოტივაციის არარსებობასა და ენობრივ ბარიერს. აქედან გამომდინარე, შემუშავდა სოციალური პროექტი და სპეციალისტი მასწავლებლის მომსახურებით ათმა მოსწავლემ ისარგებლა.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მოქმედებს შვიდი სპეციალიზებული სკოლა. ამასთანავე, მიღებულია სხვადასხვა ზომა შშმ ბავშვებისთვის სწავლის პროცესის გასაადვილებლად.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენი ბავშვი იმყოფებოდა პატიმრობაში ექვს თვეზე მეტი ვადით და რა ხანგრძლივობის იყო მათი სასჯელი. კომიტეტს ასევე სურდა გაგება, შემცირდა თუ არა პატიმრობაში მყოფ ბავშვთა რაოდენობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის ძალაში შესვლით, ასევე, შეიძლებოდა თუ არა პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა განთავსება სამართლო საკანში, ხოლო თუ ასე იყო, რამდენი ხნით და რა გარემოებებში (2019 წლის დასკვნები).

კომიტეტი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასჯელი 14-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო 16-დან 18 წლამდე ბავშვებისთვის – 12 წელს. ბავშვებს სამართლო საკანში არ ათავსებენ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის

17§1 მუხლს, ვინაიდან:

- ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა არ არის აკრძალული ყველა გარემოში;
- რელიგიური ორგანოების მიერ მართულ ბავშვთა სახლებში ინსპექტირება შეზღუდულია და იქ მცხოვრები ბავშვები საკმარისად არ არიან დაცულნი ძალადობისა და შევიწროებისგან.

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 17§1 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

გამოტოვებული კითხვების/ინფორმაციის ჩამონათვალი:

- გამოიყენება თუ არა საქართველოში ძვლის ანალიზი ასაკის დასადგენად, და თუ ასეა, რა პირობებში და რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ ანალიზს;
- შეიძლება თუ არა, ოჯახის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა იყოს მშობლის უფლების ჩამორთმევის ან შეჩერების ერთადერთი საფუძველი;
- რამდენი ბავშვია განთავსებული მზრუნველობის დაწესებულებებში.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 1 – დახმარება და ინფორმაცია მიგრაციის შესახებ

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§1 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 19§1 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ გატარდა ადეკვატური ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ ანგარიშში წარმოადგინა შეუსაბამობის დასკვნასა და წინა დასკვნაში წამოჭრილ კითხვებზე პასუხად.

ცვლილება პოლიტიკასა და სამართლებრივ ჩარჩოში

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა გაითვალისწინა შესაბამისი კანონმდებლობა და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია (2019 წლის დასკვნები). მან მოითხოვა ინფორმაცია სტრატეგიის განხორციელებისა და მისი ზემოქმედების შესახებ (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ახალი, 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის შესახებ, რომელიც დაიხვეწა, რათა მორგებულიყო ახალ რეალობას და გადაეჭრა თანამედროვე გამოწვევები. სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად დარგობრივ პრიორიტეტებს მიგრაციის სფეროში, როგორიცაა მიგრაციის მართვის სისტემის გაძლიერება და კანონიერი მიგრაციის ხელშეწყობა, ბრძოლა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, თავშესაფრის სისტემის განვითარება და უცხოელთა ინტეგრაცია.

უფასო სერვისები და ინფორმაცია შრომითი მიგრანტებისთვის

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ მთავრობის მიერ ემიგრანტებისთვის გაწეული დახმარება, დამოუკიდებელ დახმარების ქსელთან ერთად, საკმარისი ზომა იყო მიგრანტთათვის ადეკვატური და უფასო სერვისების მისაწოდებლად და, ამ მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიის 19§1 მუხლს (2019 წლის დასკვნები).

კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია თანამდებობის პირთათვის არსებულ სახელმძღვანელო მითითებებზე, რომლებიც შეეხება კრიტერიუმების გამოყენებას სავიზო და ბინადრობის ნებართვის განცხადებათა განხილვისას (2015 წლის დასკვნები, 2019 წლის დასკვნები). ანგარიშში აღნიშნულია, რომ ასეთ სახელმძღვანელო მითითებებს აწესებს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2014 წლის 1 სექტემბრის დადგენილება „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ და 2015 წლის

23 ივნისის N 280 დადგენილება „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“.

ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ

კომიტეტი იხსენებს, რომ ქართის 1991 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმიგრაციასა და ემიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის ასაცილებლად (დასკვნები XIV-1 (1998), საბერძნეთი). ასეთი ზომებით უნდა აღიკვეთოს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას, და უნდა შეჩერდეს ცრუ ინფორმაციის გავრცელება ქვეყანაში შემოსვლის მსურველ მიგრანტებზე (2019 წლის დასკვნები, ესტონეთი). კომიტეტი ხაზს უსვამს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის პასუხისმგებლიანი გავრცელების ხელშეწყობას და დისკრიმინაციულ შეხედულებათა გავრცელების შეჩერებას.

კომიტეტს მიაჩნია, რომ შეცდომაში შემყვან პროპაგანდასთან საბრძოლველად, უნდა არსებობდეს დისკრიმინაციულ, რასისტულ, ან სიძულვილის წამქეზებელ ენაზე მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა, განსაკუთრებით, საჯარო სფეროში (2019 წლის დასკვნები, ალბანეთი).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართის 1991 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ გატარდა ადეკვატური ზომები იმიგრაციასა და ემიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ. ამ კუთხით, მდგომარეობა მანამდეც შეუსაბამო იყო (იხ. 2015 და 2017 წლების დასკვნები).

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ზომებზე, რომლებიც საქართველომ მიიღო მიგრანტებზე მიმართულ, შეცდომაში შემყვან პროპაგანდისტულ სტერეოტიპებთან, ცრურწმენებსა და მცდარ წარმოდგენებთან საბრძოლველად. კომიტეტმა თავის წინა დასკვნებში (2011, 2015, 2017 და 2019 წლების დასკვნები) არაერთხელ მოითხოვა ინფორმაცია ამ საკითხზე.

ვინაიდან ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი პასუხი წინა დასკვნაზე ამ კუთხით შეუსაბამობის შესახებ, კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქართის 1991 მუხლს, ვინაიდან არ გატარდა ადეკვატური ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქართის 1991 მუხლს, ვინაიდან არ გატარდა ადეკვატური ზომები ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 2 – გამგზავრება, მგზავრობა და მიღება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§2 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გადაავადა დასკვნის მიღება მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე.

აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია გადავადების დასკვნაზე პასუხად.

გადაუდებელი დახმარების გაწევა მიგრანტებისთვის

ამ დებულების თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, სპეციალური ზომები მიიღონ შრომით მიგრანტთა სასარგებლოდ, იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც გათვალისწინებულია მოქალაქეებისთვის გამგზავრების, მგზავრობისა და მიღებისთვის (დასკვნები III (1973), კვიპროსი). მიღება გულისხმობს რამდენიმეკვირიან პერიოდს შრომით მიგრანტთა ჩამოსვლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც შრომითი მიგრანტები და მათი ოჯახები ყველაზე ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში (დასკვნები IV, (1975) განცხადება 19§2 მუხლის განმარტების შესახებ). სპეციალური ღონისძიებები უნდა მოიცავდეს დახმარებას არა მხოლოდ სამსახურში აყვანასა და სამუშაო ადგილზე ინტეგრაციაში, არამედ ისეთ პრობლემათა დამლევაშიც, როგორიცაა მოკლევადიანი საცხოვრებელი, ავადმყოფობა, უფულობა და ადეკვატური ჯანდაცვის მომსახურება (დასკვნები IV (1975), გერმანია).

კომიტეტმა თავის წინა დასკვნებში (იხ. 2015 და 2019 წლის დასკვნები) შეაფასა შრომით მიგრანტთა დახმარების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო. მან აღნიშნა, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ დახმარებაზე, პენსიასა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმებზე, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს (2015 წლის დასკვნები). მან ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაცვის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან სოციალურ-ეკონომიკური დახმარებით და სარგებლობენ უფასო საცხოვრებლის, განათლებისა და ჯანდაცვის უფლებით (2019 წლის დასკვნები). კომიტეტმა იკითხა, გაეწევათ თუ არა სათანადო დახმარება პრაქტიკაში არა მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მქონე ან ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს, არამედ ყველა შრომით მიგრანტს, რომლებიც აღმოჩნდნენ გადაუდებელ ან განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში კანონიერ საფუძველზე მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები იღებენ სახელმწიფო პენსიას, მიზნობრივ სოციალურ დახმარებასა და სოციალურ პაკეტს, ასევე, სარგებლობენ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვის მოვლის სახელმწიფო პროგრამით, საქართველოს მოქალაქეთა მსგავსად.

ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გადაუდებელ სიტუაციებში შრომითი მიგრანტებისთვის გაწეულ დახმარებაზე, განსაკუთრებით, მიღებისას საკვების, ტანსაცმლისა და თავშესაფრის საჭიროებათა საპასუხოდ, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§2 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

დასკვნა

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§2 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

საკითხების ჩამონათვალი:

- ინფორმაცია იმ ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი არიან შრომითი მიგრანტები გადაუდებელ სიტუაციებში, კერძოდ, მიღებისას საკვების, ტანსაცმლისა და თავშესაფრის საჭიროებათა საპასუხოდ.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 3 – თანამშრომლობა სოციალურ სამსახურებს შორის ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნებში

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქართის 1993 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქართის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქართის 1993 მუხლს.

აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია მის წინა დასკვნაში წამოჭრილ კითხვებზე პასუხად.

კომიტეტი იხსენებს, რომ ამ დებულების მოქმედების სფერო ვრცელდება შრომით მიგრანტებზე, რომლებიც ემიგრაციასა ან იმიგრაციაში არიან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. უნდა დამყარდეს კავშირები და გაიცვალოს ინფორმაცია ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნების საჯარო ან/და კერძო სოციალურ სამსახურებს შორის, რათა ხელი შეეწყოს ემიგრანტებისა და მათი ოჯახების ცხოვრებას, ახალ გარემოსთან ადაპტირებას და ურთიერთობას წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილ ოჯახის წევრებთან (დასკვნები XIV-1 (1998), ბელგია).

კომიტეტი ასევე იხსენებს, რომ აუცილებელი არ არის ოფიციალური შეთანხმებების არსებობა, განსაკუთრებით, თუ ქვეყანაში მცირე მიგრაციული გადაადგილებაა. ასეთ შემთხვევებში შეიძლება იკმაროს პრაქტიკულმა თანამშრომლობამ, საჭიროების შესაბამისად (2019 წლის დასკვნები, ალბანეთი).

კომიტეტმა ადრე შეაფასა საქართველოში მიგრაციის მართვის სტრატეგიული ხედვა და დაადგინა, რომ არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქართის (2017 წლის დასკვნები). თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ჩამოყალიბდა მიგრაციის მართვის სტრუქტურა, საკოორდინაციო სააგენტოსთან ერთად (2019 წლის დასკვნები). კომიტეტმა მოითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშში წარმოდგენილიყო უფრო დეტალური ინფორმაცია, თუ რა კავშირია დამყარებული და რა ტიპის ინფორმაცია იცვლება ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნების მიგრაციის სამსახურებს შორის (2019 წლის დასკვნები).

ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე შრომითი მიგრაციის სფეროში: გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის სექტორში სეზონური დასაქმების შესახებ და ცირკულარული მიგრაციის საპილოტე პროექტი, რომელიც განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით; საფრანგეთთან გაფორმებული ხელშეკრულება დროებითი შრომითი მიგრაციისა და სპეციალისტთა საქართველოში დაბრუნების ხელშესაწყობად; პოლონეთთან ცირკულარული მიგრაციის საპილოტე პროექტი, რომელიც განხორციელდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით; და ბულგარეთთან გაფორმებული

ხელშეკრულება შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშში მითითებულია, რომ მიმდინარეობს დიალოგი ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებთანაც, დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობათა იდენტიფიცირებისთვის (ცირკულარული შრომითი მიგრაცია). ამასთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველო, რომელსაც ევალება შრომითი მიგრაციის საკითხებზე მუშაობა, უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმართვა და შიდა კოორდინაცია.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§3 მუხლს.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 4 – თანასწორობა დასაქმებასთან, ორგანიზების უფლებასა და დაბინავებასთან მიმართებით

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კომენტარები.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 1984 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 1984 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ:

- ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ შრომით მიგრანტებს, მოქალაქეებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელად არ ეპყრობოდნენ დაბინავების კუთხით;
- დასაქმებასთან, ორგანიზების უფლებასა და დაბინავებასთან მიმართებით თანასწორობის უფლებაზე ვრცელდებოდა მონიტორინგის ან სასამართლო განხილვის ეფექტიანი მექანიზმი.

აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია შეუსაბამობის დასკვნასა და წინა დასკვნაში წამოჭრილ კითხვებზე პასუხად.

შრომის ანაზღაურება და დასაქმებისა და მუშაობის სხვა პირობები

კომიტეტი იხსენებს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღკვეთონ ყველა სახის იურიდიული და დე ფაქტო დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებისა და დასაქმების, ასევე, მუშაობის სხვა პირობებში, მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლების, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების კუთხით (დასკვნები, VII (1981), გაერთიანებული სამეფო).

კომიტეტი აღნიშნავს, რომ 2020 წელს შრომის კოდექსში შევიდა ცვლილება. კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში „აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით“. დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, ვრცელდება: (i) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე, ასევე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; (ii) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე; (iii) შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე; (iv) სამსახურებრივი სოციალური დაცვის პირობებზე, მათ შორის,

სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე (შრომის კოდექსის მე-5 მუხლი). ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამსაქმებლის მიერ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ კუთხით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§4 მუხლს.

პროფესიული კავშირების წევრობა და სარგებლობა კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგად მიღებული უპირატესობებით

კომიტეტი იხსენებს, რომ ეს ქვეპუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს ყველა სახის სამართლებრივი და დე ფაქტო დისკრიმინაციის აღკვეთას, როგორც პროფესიული კავშირების წევრობის კუთხით, ისე კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგად მიღებული უპირატესობებით სარგებლობაში (დასკვნები XIII-3 (1995), თურქეთი). ეს მოიცავს პირის უფლებას, იყოს პროფესიული კავშირის დამფუძნებელი წევრი და ჰქონდეს წვდომა პროფესიული კავშირის ადმინისტრაციულ და მენეჯერულ თანამდებობებზე (2011 წლის დასკვნები, განცხადება 19§4(b) მუხლის განმარტების შესახებ).

წინა ანგარიშებში კომიტეტმა აღნიშნა, რომ შრომით მიგრანტებს აქვთ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, ასევე, კოლექტიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობისა და ამ პროცესებთან დაკავშირებული უპირატესობების მიღების უფლება მოქალაქეებთან თანასწორობის საფუძველზე (იხ. 2015 წლის დასკვნები). კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია მონიტორინგისა და პრაქტიკული განხორციელების შესახებ (2015 და 2019 წლების დასკვნები).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები ასევე ვრცელდება დასაქმებულთა გაერთიანების ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც მიეკუთვნებიან განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს, მათ შორის, ასეთი ორგანიზაციიდან მიღებულ სარგებელზეც. ზემოაღნიშნული დებულება და კანონით გათვალისწინებული ზედამხედველობის ფარგლები ვრცელდება ყველა დასაქმებულზე, შრომით მიგრანტთა ჩათვლით. ზედამხედველობას უწევს შრომის ინსპექციის სამსახური.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§4 მუხლს.

დაბინავება

ამ ქვეპუნქტის თანახმად, მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღკვეთონ ყველა სახის იურიდიული და დე ფაქტო დისკრიმინაცია საჯარო და კერძო საცხოვრებელ ადგილზე წვდომის მხრივ (European Roma Rights Centre (ERRC) v. France, საჩივარი N 51/2008, 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, §§111-113). თუმცა, არაკანონიერად მყოფ იმიგრანტებზე არ ვრცელდება 19§4(c) მუხლი (European Roma Rights Centre (ERRC) v. France, საჩივარი N 51/2008, 2009 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, §§ 111-113; Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, საჩივარი N 58/2009, 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, §§ 145-147). კომიტეტი ასევე იხსენებს, რომ არ უნდა არსებობდეს იურიდიული ან დე ფაქტო შეზღუდვები სახლის ყიდვაზე (დასკვნები IV (1975), ნორვეგია), ასევე, სუბსიდირებული საცხოვრებლის ან დაბინავებასთან დაკავშირებული დახმარების ხელმისაწვდომობაზე, როგორცაა სესხები ან სხვა შეღავათები (დასკვნები III (1973),

იტალია).

კომიტეტმა მოითხოვა ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა პრაქტიკაში შრომით მიგრანტთა არადისკრიმინაციულ მოპყრობას დაბინავებასთან მიმართებით, ასევე, იმ ზომების შესახებ, რომლებიც გატარდა დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირებისათვის (2017 წლის დასკვნები). თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა აღნიშნა, რომ განმეორებითი თხოვნის მიუხედავად, ანგარიშში ეს ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტმა დაასკვნა, რომ ამ კუთხით არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიას, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ შრომით მიგრანტებს, მოქალაქეებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელად არ ეპყრობოდნენ დაბინავების კუთხით (2019 წლის დასკვნები).

წინამდებარე ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ამ ასპექტთან დაკავშირებით. ითვალისწინებს რა, რომ ამჯერადაც არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ შრომით მიგრანტთა არადისკრიმინაციულ მოპყრობაზე პრაქტიკაში, ან ამ სფეროში დისკრიმინაციის შემთხვევათა აღმოსაფხვრელად მიღებულ ზომებზე, კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§4 მუხლს, ვინაიდან ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ შრომით მიგრანტებს მოქალაქეთა თანასწორად არ ეპყრობიან დაბინავების კუთხით.

მონიტორინგი და სასამართლო კონტროლი

კომიტეტის მითითებით, არ კმარა მთავრობის მხრიდან იმის დემონსტრირება, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს დისკრიმინაცია, ის ასევე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მიიღო შესაბამისი პრაქტიკული ზომები ყოველგვარი სამართლებრივი და დე ფაქტო დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქარტიის 19§4 მუხლით დაცულ უფლებებთან მიმართებით (დასკვნები III (1973), განმარტების შესახებ განცხადება).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა აღნიშნა, რომ ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია სასამართლო ან ადმინისტრაციული დაცვის საშუალებებზე დისკრიმინაციის შემთხვევაში (2019 წლის დასკვნები). კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 19§4 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ დასაქმებასთან, ორგანიზების უფლებასა და დაბინავებასთან მიმართებით თანასწორობის უფლებაზე ვრცელდებოდა მონიტორინგის ან სასამართლო კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი.

ანგარიშში მითითებულია, რომ 2014 წლიდან სახალხო დამცველი განიხილავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ განცხადებებს დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც წარადგინეს ფიზიკურმა პირებმა ან ინიცირებულია სახალხო დამცველის მოვალეობებიდან გამომდინარე. ანგარიშში დამატებით მოცემულია ინფორმაცია ასეთ შემთხვევებში მიმდინარე საქმისწარმოებაზე. ასევე აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში არ შესულა საჩივარი სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის შესახებ და სახალხო დამცველის აპარატს არ დაუდგენია შრომით მიგრანტთა დისკრიმინაციის ფაქტი სამუშაო ადგილზე.

დამატებით მითითებულია, რომ 2020 წლიდან შრომის ინსპექცია პასუხისმგებელია სამუშაო პირობების მონიტორინგსა და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე. ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურს არ გამოუვლენია დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევა შრომით მიგრანტთა მიმართ. სამსახურს ასევე არ გამოუვლენია იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტი შრომით მიგრანტებთან მიმართებით.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი

ინფორმაციით, მიგრანტთა დისკრიმინაციის საქმეები ცალკე არ რეგისტრირდება. საქალაქო სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციით კი, საანგარიშო პერიოდში განიხილეს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის 48 საქმე. ამ 48 საქმიდან, დისკრიმინაციის ფაქტი დადგინდა 8 შემთხვევაში. დისკრიმინაცია განხორციელდა შემდეგი ნიშნებით: ასაკი (13 შემთხვევა, მათ შორის, სექსუალური შევიწროების 2 შემთხვევა), პოლიტიკა (9 შემთხვევა), არათანასწორი მოპყრობა (8 შემთხვევა), პროფკავშირის წევრობა (6 შემთხვევა) და ა.შ.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დისკრიმინაციის შემთხვევათა მონიტორინგსა და სასამართლო განხილვაზე შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების დაბინავებასთან დაკავშირებით. კომიტეტი იხსენებს, რომ 1984(c) მუხლის თანახმად, თანასწორი მოპყრობა ქმედითია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება. კომიტეტს მიაჩნია, რომ ამგვარი შესაძლებლობის არსებობა მნიშვნელოვანია 1984 მუხლით გათვალისწინებული ყველა ასპექტისთვის.

ვინაიდან ამჯერადაც არ მიუწოდებიათ მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე, ამ საკითხზე წინა შეუსაბამობის დასკვნის გათვალისწინებით, კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1984 მუხლს, ვინაიდან თანასწორობის უფლებაზე შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების დაბინავებასთან მიმართებით, არ ვრცელდება მონიტორინგის ან სასამართლო განხილვის ეფექტიანი მექანიზმი.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1984 მუხლს, ვინაიდან:

- ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ შრომით მიგრანტებს მოქალაქეთა თანასწორად არ ეპყრობიან დაბინავების კუთხით;
- თანასწორობის უფლებაზე შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების დაბინავებასთან მიმართებით, არ ვრცელდება მონიტორინგის ან სასამართლო განხილვის ეფექტიანი მექანიზმი.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 5 – თანასწორობა გადასახადებსა და შენატანებთან მიმართებით

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§5 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

მას არ განუხილავს 2023 წელს არსებული ვითარება ამ მიმართულებით, ვინაიდან წინა დასკვნის (2019 წლის დასკვნები) თანახმად, საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიის დებულებებს. აქედან გამომდინარე, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§5 მუხლს.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 6 – ოჯახის გაერთიანება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 1996 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნებში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 1996 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად უწყობდა ხელს შრომით მიგრანტთა გაერთიანებას ოჯახებთან, შრომით მიგრანტთა ოჯახის წევრებს კი არ ენიჭებოდათ ქვეყანაში დარჩენის დამოუკიდებელი უფლება ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე დასკვნაში კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობაზე მიღებული წინა დასკვნის საპასუხოდ.

მოქმედების სფერო

აღნიშნული დებულება სახელმწიფოებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ იმ შრომით მიგრანტთა ოჯახების გაერთიანებას, რომლებსაც აქვთ მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნების ნებართვა. შესწორებული ევროპის სოციალური ქარტიის დანართის მიხედვით, 1996 მუხლის მიზნებისთვის, ტერმინი „უცხოელი მუშაკის ოჯახი“ ნიშნავს, სულ მცირე, მუშაკის მეუღლესა და დაუქორწინებელ შვილებს, სანამ ეს უკანასკნელნი მცირეწლოვნებად განიხილებიან მიმღები სახელმწიფოს მიერ და დამოკიდებულნი არიან შრომით მიგრანტზე.

კომიტეტმა თავის წინა დასკვნებში (იხ. 2019, 2017 და 2015 წლების დასკვნები) უკვე შეაფასა ოჯახის გაერთიანების უფლების მოქმედების ფარგლები საქართველოში.

კომიტეტი ითვალისწინებს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც 2021 წლის 12 მაისს ძალაში შევიდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში შეტანილი ახალი ცვლილებები, რის შედეგადაც დავიწროვდა „ოჯახის წევრის“ ცნება: ზრდასრული შვილები აღარ ითვლებიან ოჯახის წევრებად.

ოჯახის გაერთიანების მარეგულირებელი პირობები

კომიტეტი იხსენებს, რომ სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას ნებისმიერი სამართლებრივი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრებს ოჯახის გაერთიანებაში (დასკვნები II (1971), კვიპროსი). შრომითი მიგრანტის ოჯახის ქვეყანაში შესვლასა ან ყოფნაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა არ უნდა აცლიდეს არსს ამ ვალდებულებას და არ უნდა იყოს ისეთი მკაცრი, რომ შეუძლებელს ხდიდეს ოჯახის გაერთიანებას (დასკვნები XVII-1 (2004), ნიდერლანდები; 2011 წლის დასკვნები, განცხადება 1996 მუხლის განმარტების შესახებ).

ითვალისწინებს რა ოჯახის გაერთიანების შეძლებისდაგვარად ხელშეწყობის ვალდებულებას 1986 მუხლის შესაბამისად, კომიტეტი დამატებით იხსენებს, რომ მხარე სახელმწიფოებმა არ უნდა დანერგონ ისეთი ბლანკეტური მიდგომა შესაბამის მოთხოვნათა გავრცელებისადმი, რომ გამორიცხონ გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობა საქმეთა კონკრეტული კატეგორიების მიმართ, ან ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინებით (2015 წლის დასკვნები, განცხადება 1986 მუხლის განმარტების შესახებ). კერძოდ, კომიტეტი იხსენებს, რომ გაერთიანების მოსურნე შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრს სახელმწიფომ არ უნდა უთხრას უარი ქვეყანაში შესვლაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზით. ამ მიზეზით მოტივირებული უარი დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული დაავადებების შემთხვევებში, რომლებიც იმდენად მძიმეა, რომ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. ეს მოიცავს დაავადებებს, რომლებიც საჭიროებს კარანტინს და გათვალისწინებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანმრთელობის საერთაშორისო რეგულაციებით (1969), ასევე, სხვა სერიოზულ გადამდებ და ინფექციურ დაავადებებს, როგორიცაა ტუბერკულოზი ან სიფილისი. ოჯახის გაერთიანებაზე უარი შეიძლება გამართლდეს მძიმე ნარკოდამოკიდებულებით ან ფსიქიკური დაავადებითაც, თუმცა მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ორგანო დაადგენს, რომ დაავადება ან მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას.

ამასთან, შემოსავალი ან საცხოვრებელი პირობები, რომლებსაც ითხოვს მხარე სახელმწიფო ოჯახის ან ოჯახის წევრის ჩამოსაყვანად, არ უნდა იყოს იმდენად შემზღუდველი, რომ ხელს უშლიდეს ოჯახის გაერთიანებას, ხოლო სოციალური შეღავათი გათვალისწინებული უნდა იყოს იმ შრომითი მიგრანტის შემოსავლის გამომანგარიშებისას, რომელმაც მოითხოვა ოჯახის გაერთიანება (2011 წლის დასკვნები, განცხადება 1986 მუხლის განმარტების შესახებ).

2017 წლის დასკვნებში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიას, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად უწყობდა ხელს შრომით მიგრანტთა ოჯახების გაერთიანებას. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა აღნიშნა, რომ მოთხოვნები ჯანმრთელობასთან, საარსებო საშუალებებთან, საცხოვრებელსა და ბინადრობის ხანგრძლივობასთან მიმართებით იმდენად შემზღუდველი იყო, რომ შეიძლება ხელი შეეშალა ოჯახის გაერთიანებისთვის.

2019 წლის დასკვნებში კომიტეტმა მიიჩნია, რომ წინა ანგარიშში არ დაკმაყოფილდა მისი თხოვნა, დაზუსტებულიყო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რომელი დაავადებები მიიჩნევა დაბრკოლებად ოჯახის გასაერთიანებელი ნებართვის გაცემისთვის. კომიტეტის დასკვნით, წინა ანგარიშში ვერ დადასტურდა, რომ სახელმწიფო ითვალისწინებდა სოციალურ შეღავათებს იმ პირის შემოსავლის გამომანგარიშებისას, რომელმაც ითხოვა ბინადრობის ნებართვა ოჯახის წევრისთვის (მოთხოვნილი შემოსავლის ოდენობა ორჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს). კომიტეტმა ასევე დასძინა, რომ წინა ანგარიშში არ წარდგენია ინფორმაცია საცხოვრებელთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით, კომიტეტი იმეორებს თავის დასკვნას შეუსაბამობის შესახებ.

საპასუხოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 14 ნოემბრის N 300/ნ ბრძანება ადგენს ინფექციური და სხვა დაავადებების ჩამონათვალს, რომელთა ბუნება, სიმძიმე და ხანგრძლივობა შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საქართველოს მოსახლეობას და გახდეს უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის საფუძველი. ანგარიშის თანახმად, ეს დაავადებებია: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა (არ იგულისხმება აივ ვირუსით გამოწვეული უსიმპტომო ინფექციური სტატუსი); კეთრი –

ჰანზენის ავადმყოფობა (იგულისხმება mycobacterium leprae-ით გამოწვეული ინფექცია და არა კეთრის შედეგები B92); ტუბერკულოზი (იგულისხმება mycobacterium tuberculosis-ითა და mycobacterium bovis-ით გამოწვეული ინფექციები და არა თანდაყოლილი ტუბერკულოზი); ტუბერკულოზთან დაკავშირებული პნევმოკონიოზი, ტუბერკულოზის შედეგები და სილიკოტუბერკულოზი.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი პასუხი კომიტეტის წინა კითხვაზე: გათვალისწინებულია თუ არა სოციალური შედეგები იმ პირის შემოსავლის გამოთვლისას, რომელიც ითხოვს ბინადრობის ნებართვას ოჯახის წევრისთვის. ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საცხოვრებელთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით, კომიტეტი იმეორებს თავის დასკვნას შეუსაბამობის შესახებ.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა ითხოვა, განემარტათ ის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლითაც ფასდება, უქმნის თუ არა რისკს ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს. კერძოდ, კომიტეტმა იკითხა, რა საკითხები იყო გათვალისწინებული ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას და რომელი კრიტერიუმები გამოიყენებოდა რისკების შეფასებისას.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეფასება და განხილვა, უქმნის თუ არა რისკს ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, სცდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციას. ასევე, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების რისკთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს აფასებენ კომპეტენტური ორგანოები, რის საფუძველზეც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ოჯახის წევრისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გაიხსენა, რომ მას შემდეგ, რაც შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრი ისარგებლებს ოჯახის გაერთიანების უფლებით და შრომით მიგრანტს შეუერთდება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მას უნდა ჰქონდეს ამ ტერიტორიაზე დარჩენის დამოუკიდებელი უფლება.

წინა ანგარიშიდან კომიტეტმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრთა ბინადრობის ნებართვა დამოკიდებულია შრომითი მიგრანტის ქვეყანაში დარჩენის უფლებაზე. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის მოთხოვნებს.

სახალხო დამცველის აპარატმა თავის კომენტარებში განაცხადა, რომ მათ შეისწავლეს საქმეები, სადაც სასამართლოებმა, ოჯახის გაერთიანების პრინციპზე მითითებით, გააუქმეს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებები უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის აპარატის თანახმად, გაძევებაზე უარის გადაწყვეტილებათა ძალაში შესვლის მიუხედავად, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე დოკუმენტის გაცემის შესაძლებლობას, რომელიც დაადასტურებდა ქვეყანაში ყოფნის კანონიერებას. აპარატი ასევე აღნიშნავს, რომ ამგვარი დოკუმენტის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს უცხოელთა მიერ ისეთი უფლებებით სარგებლობაზე, როგორიცაა დასაქმების უფლება, ხელშეკრულების გაფორმების უფლება და ა.შ.

ვინაიდან ანგარიშში არ არის წარმოდგენილი პასუხი ამ კუთხით მიღებულ წინა დასკვნაზე შეუსაბამობის შესახებ, კომიტეტი იმეორებს თავის დასკვნას შეუსაბამობის შესახებ.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

კომიტეტი იხსენებს, რომ ოჯახის გაერთიანების უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის მიმართ უნდა მოქმედებდეს გასაჩივრების ან კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საქმის ინდივიდუალურ გარემოებათა განხილვის შესაძლებლობას, პროპორციულობისა და გონივრულობის პრინციპთა შესაბამისად (2015 წლის დასკვნები, განცხადება 1986 მუხლის განმარტების შესახებ).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტი აღნიშნავდა, რომ წინა ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი პასუხი მოთხოვნილ ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლებიც უკავშირდებოდა ბინადრობის ნებართვის მინიჭებას ოჯახის გაერთიანების საფუძვლით. კომიტეტი იმეორებდა თავის თხოვნას ამ საკითხებთან მიმართებით და აღნიშნავდა, რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ წარედგინებოდა ამომწურავი ინფორმაცია, ვერაფრით დადგინდებოდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიასთან.

ვინაიდან არ წარდგენია საპასუხო ინფორმაცია, კომიტეტი ასკვნის, რომ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიას, მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1986 მუხლს, ვინაიდან:

- არ არის გათვალისწინებული სოციალური შეღავათები იმ პირის შემოსავლის გამოთვლისას, რომელიც ითხოვს ბინადრობის ნებართვის მინიჭებას ოჯახის წევრისთვის;
- საცხოვრებელთან დაკავშირებული მოთხოვნები იმდენად შემზღუდველია, რომ შეიძლება ხელი შეუშალოს ოჯახის გაერთიანებას;
- შრომით მიგრანტთა ოჯახის წევრებს არ ენიჭებათ ქვეყანაში დარჩენის დამოუკიდებელი უფლება ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობის შემდეგ.

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიას. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

გამოტოვებული კითხვების/ინფორმაციის ჩამონათვალი:

- ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები ოჯახის გაერთიანების საფუძვლით ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 7 – თანასწორობა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§7 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გადაავადა დასკვნის მიღება მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე დასკვნაში კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა წინა კითხვებზე პასუხად.

2015 წლის დასკვნებში კომიტეტმა გაითვალისწინა საქართველოში მოქმედი სამართლებრივი დებულებები იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს უფასო საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეებსა და გარკვეულ სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ საკითხებში, როგორიცაა სოციალური დაცვა და საოჯახო სამართალი, თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა და მოითხოვს ადვოკატს, ან საქმე შედის სავალდებულო დაცვის კატეგორიაში. 2015 წლის დასკვნებში კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ მიგრანტებზე იგივე კრიტერიუმები ვრცელდება, რაც მოქალაქეებზე, შესაბამისად, მათ შეუძლიათ სარგებლობა იურიდიული დახმარებით, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები. ვინაიდან მოპასუხეს ადვოკატი შეიძლება დაენიშნოს ისეთ შემთხვევებში, როცა მას არ ესმის საქმისწარმოების ენა, კომიტეტმა იკითხა, ითვალისწინებდა თუ არა დახმარება თარჯიმნის მომსახურებას საქმისწარმოების მხარის სრულად გასარკვევად ვითარებაში.

ვინაიდან არ წარდგენია პასუხი წინა კითხვაზე, 2019 წლის დასკვნებში კომიტეტმა გადაავადა დასკვნის გამოტანა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე.

საპასუხოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისათვის, კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს თარჯიმნის დახმარების უფლების უზრუნველყოფას იმ პირთათვის, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საქმისწარმოების მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, უფლება აქვს, თავის მშობლიურ ენაზე ან ნებისმიერ სხვა ენაზე, რომელიც მან იცის, გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენება და გააკეთოს განმარტება, შეიტანოს შუამდგომლობა და სარჩელი, შეიტანოს საჩივარი, გამოცხადდეს სასამართლოში. ასეთ შემთხვევებში, საქმისწარმოების მონაწილეს აქვს თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება“.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 258-ე მუხლი არეგულირებს თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობას ადმინისტრაციული წარმოებისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს თარჯიმნის მონაწილეობას როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში. კერძოდ, მისი მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ტარდება ქართულ ენაზე. ქართული ენის არმცოდნე პირს ენიშნება თარჯიმანი.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 1987 მუხლს.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 8 – გარანტიები დეპორტაციასთან დაკავშირებით

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§8 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნებში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტი იხსენებდა, რომ 2015 წლის დასკვნებში დაადგინა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიის 19§8 მუხლთან და, აღნიშნა რა, რომ ამ საკითხებთან მიმართებით არაფერი შეცვლილა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, დაასკვნა, რომ არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიის 19§8 მუხლს. 2019 წლის დასკვნაში საქართველოს შესახებ კომიტეტს არ წამოუჭრია კითხვები 19§8 მუხლთან დაკავშირებით.

ვინაიდან არ დასმულა მიზნობრივი კითხვები 19§8 მუხლთან დაკავშირებით, ხოლო წინა დასკვნის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე დადგინდა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიას, კომიტეტს არ განუხილავს 2023 წელს ამ კუთხით არსებული ვითარება.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§8 მუხლს.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 9 – შემოსავლებისა და დანაზოგების გადარიცხვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§9 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გადაავადა დასკვნის გამოტანა მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე. წინამდებარე დასკვნაში კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია გადავადებაზე მიღებული წინა დასკვნის საპასუხოდ.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა აღნიშნა, რომ არ შეცვლილა ვითარება, რომელიც მანამდე ქარტიასთან შესაბამისად მიიჩნია. 19§9 მუხლის განმარტებით განცხადებაზე მითითებით (2011 წლის დასკვნები), კომიტეტმა გაიმეორა თავისი შეკითხვა, არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვა შრომით მიგრანტთა მოძრავი ქონების გადაცემის კუთხით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე შეზღუდვას შრომით მიგრანტთა მოძრავი ქონების გადაცემაზე.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 19§9 მუხლს.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 10 – თვითდასაქმებულთა თანასწორი მოპყრობა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობაში კვლავაც არ იკვეთება დისკრიმინაცია დასაქმებულ და თვითდასაქმებულ მიგრანტთა შორის, მე-19 მუხლით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით.

თუმცა, 19§10 მუხლის შემთხვევაში, შეუსაბამობის დადგენა მე-19 მუხლის ნებისმიერ სხვა პუნქტთან მიმართებით, როგორც წესი, იწვევს ამ პუნქტთან შეუსაბამობის დადგენასაც, ვინაიდან შეუსაბამობის იგივე საფუძველი ვრცელდება თვითდასაქმებულ მუშაკებზეც. ეს ასეა, როდესაც არ იკვეთება დისკრიმინაცია ან დისბალანსი მათ მიმართ მოპყრობაში.

კომიტეტმა დაადგინა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის მე-19 მუხლის 1, 2, 4, 6, 11 და 12 პუნქტებს. შესაბამისად, იმავე მიზეზებით, რომლებიც მითითებულია ზემოხსენებულ პუნქტებთან დაკავშირებულ დასკვნებში, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§10 მუხლს.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§10 მუხლს, ვინაიდან შეუსაბამობის საფუძვლები მე-19 მუხლის 1, 2, 4, 6, 11 და 12 პუნქტებთან მიმართებით, თვითდასაქმებულ მიგრანტებზეც ვრცელდება.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 11 – მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ენის სწავლება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქართულის 19§11 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქართულის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქართულის 19§11 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ სახელმწიფო სათანადოდ უწყობდა ხელს და უჭერდა მხარს სახელმწიფო ენის სწავლებას შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. აქედან გამომდინარე, წინამდებარე დასკვნაში კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა შეუსაბამობაზე მიღებული წინა დასკვნის საპასუხოდ.

წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გაიმეორა თავისი შეკითხვა, რომელიც შეეხებოდა სკოლებში ენის სწავლებას და დახმარების გაწევას შრომით მიგრანტთა შვილებისთვის, ასევე, ენის კურსების ხელმისაწვდომობას ყველა ზრდასრული მიგრანტისთვის და არა მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამჟამად, სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დონეზე არ არსებობს ასეთი მოსამზადებელი პროგრამა. ანგარიშის თანახმად, საქართველოს სკოლებში ინტეგრაციის ხელშესაწყობად, ქართული ენის ერთწლიან კურსს სთავაზობენ საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებს. ამჟამად, აღნიშნული პროგრამა ფართოვდება და ერთწლიანი დისტანციური კურსები ხელმისაწვდომი გახდება სხვა პირებისთვისაც. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოავლინა სტუდენტები, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო ენის შესწავლა. იდენტიფიცირებულია, დაახლოებით, 120 პირი. პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან და მის ფარგლებში ქართული ენის ერთწლიანი სასწავლო კურსი უფასოდ ხელმისაწვდომია 6-დან 18 წლამდე ასაკის თავშესაფრის მამიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის.

გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამას საქართველოში მცხოვრები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ასევე, სხვა პირებისთვისაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართულის შესწავლით (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე უცხო ქვეყნების მოქალაქეები, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნების მოქალაქეები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები). ანგარიშის თანახმად, 2018-2021 წლებში, ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლამ, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან თანამშრომლობით (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადაამზადა 255 პირი. 2018-2019 წლებში პროგრამაზე ჩაირიცხნენ მხოლოდ საერთაშორისო დაცვისა და ლტოლვილის სტატუსის

მქონე პირები, ხოლო 2020 წლიდან ის გაფართოვდა და ხელმისაწვდომი გახდა დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე და სტატუსის არმქონე პირებისთვისაც.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლამ, World Vision Georgia-თან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი სახელმწიფო „სახელმწიფო ენის სწავლება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის“.

კომიტეტის მიერ მანამდე (2019 წლის დასკვნები) მოთხოვნილი ინფორმაციის საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მეშვეობით განხორციელებულ ენის კურსებს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქის, თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის პროფესიულ განათლებასა და მომზადებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2020 წლიდან დაიწყო მუშაობა ახალი მიდგომის შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დანერგვას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ. მომზადდა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესის პროექტი. პროფესიული უნარების სააგენტოსა და განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული მიდგომის დანერგვის შემდეგ, პროფესიული განათლების სისტემაში ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა, რომელიც არაქართულენოვან განმცხადებლებს შესაძლებლობას მისცემს, რომ ამ პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ, ჩაირიცხონ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

კომიტეტი იმეორებს, რომ მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ენის სწავლება ის ძირითადი საშუალებაა, რომლითაც მიგრანტებსა და მათ ოჯახებს შეუძლიათ ინტეგრირება ზოგადად დასაქმების ბაზარზე და საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ სახელმწიფო ენის სწავლებას სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის, ისევე, როგორც თავად მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც აღარ არიან სასკოლო ასაკის (2019 წლის დასკვნები, საქართველო). ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციიდან კომიტეტი ასკვნის, რომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის გარდა, რომელიც 2020 წლიდან გაფართოვდა და მოიცვა დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე ან/და სტატუსის არმქონე ყველა პირი, ქართული ენის კურსები ხელმისაწვდომია მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის და არა ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

თავის მოსაზრებებში სახალხო დამცველის აპარატი მიუთითებს ქართული ენის ერთწლიან სასწავლო პროგრამაზე, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება და უფასოა თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის. აპარატი აკრიტიკებს პროგრამის განხორციელებას მხოლოდ 3 საჯარო სკოლაში და წელიწადში მხოლოდ ორჯერ ჩარიცხვის შესაძლებლობას.

კომიტეტი ითვალისწინებს სკოლებში გაწეულ ძალისხმევას ქართული ენის სწავლების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისა და ყველა მიგრანტის ინტეგრაციისთვის. თუმცა, ამ ეტაპზე იგი მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19§11 მუხლს, ვინაიდან, გარდა საერთაშორისო დაცვის მქონე მიგრანტებისა, სახელმწიფო სათანადოდ არ უწყობს ხელს და არ უჭერს მხარს სახელმწიფო ენის სწავლებას ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის

19811 მუხლს, ვინაიდან, გარდა საერთაშორისო დაცვის მქონე მიგრანტებისა, სახელმწიფო სათანადოდ არ უწყობს ხელს და არ უჭერს მხარს სახელმწიფო ენის სწავლებას ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

მუხლი 19 – შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

პუნქტი 12 – მიგრანტებისთვის მშობლიური ენის სწავლება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 19§12 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გადაავადა დასკვნის მიღება მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე დასკვნაში კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა გადავადებაზე დასკვნის საპასუხოდ.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გაითვალისწინა ფაქტი, რომ საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უცხოენოვანი სკოლები, რომლებიც ასწავლიან რამდენიმე ენას, მათ შორის, მიგრანტთა ყველაზე დიდი ჯგუფებისაც, როგორცაა რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული და ინგლისური ენები. აქედან გამომდინარე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ შრომით მიგრანტთა შვილებისთვის ხელმისაწვდომია მრავალენოვანი განათლება, და ითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშში უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოედგინათ მთავრობის მიერ ამის ხელშესაწყობად გადადგმულ ნაბიჯებზე.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ მისთვის არ მიუწოდებიათ ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია, რამაც ხელი შეუშალა ყოვლისმომცველ შეფასებაში, აკმაყოფილებდა თუ არა არსებული მდგომარეობა ქარტიის 19§12 მუხლის მოთხოვნებს:

- ინფორმაცია უცხო ენათა სწავლების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობაზე;
- ინფორმაცია შრომით მიგრანტთა შვილებისთვის მშობლიური ენის კურსების ხელმისაწვდომობაზე სასკოლო სისტემის გარეთ;
- ინფორმაცია სხვა ორგანოებზე, როგორცაა ადგილობრივი ასოციაციები, კულტურული ცენტრები, ან კერძო ინიციატივები, რომლებიც შრომით მიგრანტთა შვილებს ასწავლიან წარმოშობის ქვეყნის ენას;
- ინფორმაცია, ასწავლის თუ არა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტთა ენებს და იღებენ თუ არა ისინი მხარდაჭერას.

კომიტეტმა მიიჩნია (2019 წლის დასკვნები), რომ თუ მომდევნო ანგარიშში არ წარედგინებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, არ იარსებებდა საკმარისი ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისობას ქარტიის 19§12 მუხლთან.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, შრომით მიგრანტთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა არც ისე მაღალია, რომ საჭიროებდეს ასეთ მხარდაჭერას. ამის ნაცვლად, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტზე „ქართული ენა ემიგრანტებისთვის“.

რომლის მიზანია ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია უცხო ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ბავშვებში და საქართველოსთან მათი დაახლოების ხელშეწყობა.

კომიტეტი იხსენებს, რომ, 19912 მუხლის თანახმად, ხელშემკვერელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, „რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ შრომითი მიგრანტების ბავშვებისთვის შრომითი მიგრანტის მშობლიური ენის სწავლებას“. აქედან გამომდინარე, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ქართული ენისა და კულტურის სწავლებაზე საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის, არ შეესაბამება ამ დებულების მიზნებს.

რაც შეეხება ანგარიშში გაკეთებულ განცხადებას, თითქოს შრომით მიგრანტთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა არც ისე მაღალია, რომ საჭიროებდეს ასეთ მხარდაჭერას, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში მიგრანტთა საერთო რაოდენობა აღემატებოდა 76 000-ს, ხოლო ქვეყანაში მცხოვრები 19 წლის და უმცროსი ასაკის საერთაშორისო მიგრანტთა წილი შეადგენდა 21.4%-ს.

ვინაიდან ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ციფრები ან სტატისტიკური მონაცემები შრომით მიგრანტთა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობაზე, კომიტეტს მიაჩნია, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ კმარა დასამტკიცებლად, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას.

იქიდან გამომდინარე, რომ არ მიუწოდებიათ ინფორმაცია უცხო ენათა სწავლების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობაზე, შრომით მიგრანტთა შვილებისთვის მშობლიური ენის სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობაზე სასკოლო სისტემის გარეთ, სხვა ორგანოებზე, როგორცაა ადგილობრივი ასოციაციები, კულტურული ცენტრები ან კერძო ინიციატივები, რომლებიც შრომით მიგრანტთა შვილებს ასწავლიან წარმოშობის ქვეყნის ენას, ასევე, ასწავლის თუ არა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტთა ენებს და იღებენ თუ არა ისინი მხარდაჭერას, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19912 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 19912 მუხლს, ვინაიდან მისთვის არ მიუწოდებიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

გამოტოვებული კითხვების/ინფორმაციის ჩამონათვალი:

- ინფორმაცია უცხო ენათა სწავლების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობაზე;
- ინფორმაცია შრომით მიგრანტთა შვილებისთვის მშობლიური ენის კურსების ხელმისაწვდომობაზე სასკოლო სისტემის გარეთ;
- ინფორმაცია სხვა ორგანოებზე, როგორცაა ადგილობრივი ასოციაციები, კულტურული ცენტრები, ან კერძო ინიციატივები, რომლებიც შრომით მიგრანტთა შვილებს ასწავლიან წარმოშობის ქვეყნის ენას;
- ინფორმაცია, ასწავლის თუ არა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტთა ენებს და იღებენ თუ არა ისინი მხარდაჭერას.

მუხლი 27 – ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება

პუნქტი 1 – შრომით ცხოვრებაში მონაწილეობა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 27§1 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 27§1 მუხლს, ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების დაბალანსების ხელშეწყობას იმ პირთათვის, რომლებსაც ოჯახური ვალდებულებები აქვთ (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია შეუსაბამობის დასკვნაზე პასუხად.

დასაქმება, პროფესიული ორიენტაცია და მომზადება

თავის წინა დასკვნებში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა ითხოვა, რომ მომდევნო ანგარიშში დაზუსტებულიყო, არსებობდა თუ არა დასაქმების სერვისები, საინფორმაციო პროგრამები ან პროფესიული მომზადების შესაძლებლობები ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებული პირებისთვის (კონკრეტულად კი - სამსახურის მაძიებლებისთვის), მანამდე კი კომიტეტი თავის პოზიციაზე რჩებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით. კომიტეტი ასევე იხსენებს, რომ 2017 და 2015 წლებში საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიას, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ არსებობდა სათანადო სერვისები, რომლებიც ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებულ პირებს უზრუნველყოფდა პროფესიული ორიენტაციით, მომზადებითა და გადამზადებით.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის ოქტომბერში შეიქმნა „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2020 წლის 1 იანვარს. სააგენტოს საქმიანობაში შედის სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების რეგისტრაცია, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის მართვა, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, ასევე, დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობა ეფექტიანი საშუაშაგლო, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად სამუშაოს მაძიებელთათვის.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შრომისა და დასაქმების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, 2019-2023 წლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს, სტაჟირებას, საბაზისო უნარების განვითარებას, ხელფასების სუბსიდირებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ადგილებსა და სახელმწიფო დასაქმების პროგრამებს.

დაბოლოს, ანგარიშის თანახმად, შრომის კოდექსით უზრუნველყოფილია დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება (22-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ორსულობისა და მშობიარობის,

ბავშვის მოვლის ან/და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ. დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება, თუ ეს აუცილებელია მის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად და დამსაქმებლისთვის არ წარმოშობს არაპროპორციულ ხარჯებს.

დასაქმების პირობები, სოციალური უზრუნველყოფა

თავის წინა დასკვნებში (2019, 2017 და 2015 წლების დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 27§1 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ კანონმდებლობა კონკრეტულად ითვალისწინებდა სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების დაბალანსების ხელშეწყობას იმ პირთათვის, რომლებსაც ოჯახური ვალდებულებები აქვთ, და მოითხოვა, მომდევნო ანგარიშში აღწერილიყო კანონმდებლობას ან/და კოლექტიურ ხელშეკრულებებში ჩართული დებულებები ისეთი სამუშაო პირობების შესახებ, რომლებიც შეიძლება ხელს უწყობდეს სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების დაბალანსებას (მაგ: არასრულ განაკვეთზე მუშაობა, სახლიდან მუშაობა ან მოქნილი სამუშაო საათები).

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის კოდექსი ითვალისწინებს არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებას და არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულთა დაცვას სტატუსის ნიშნით დისკრიმინაციისგან. შრომის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია შრომის პირობებთან დაკავშირებით არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულ პირთან შედარებით მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დასაქმებულია არასრულ სამუშაო განაკვეთზე.“ ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა გამართლებული უნდა იყოს ობიექტური საფუძვლით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მის მიერ სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე ან არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლაზე უარის თქმის გამო,“ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გარკვეული წინაპირობები. გარდა ამისა, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შრომის კოდექსის დებულებებზე, რომლებიც ითვალისწინებს: იმ მეძუძურ ქალთა ხელშეწყობას, რომლებიც 1 წლამდე ბავშვს კვებავენ (დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისთვის ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება); დამატებით არაანაზღაურებად შვებულებას წელიწადში, მინიმუმ, 2-დან 12 კვირამდე, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მხარდამჭერის ან კანონიერი წარმომადგენლის შესაძლებლობას, რომ თვეში ერთხელ ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღით.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა იკითხა, გათვალისწინებული იყო თუ არა სამსახურში არყოფნის პერიოდები პენსიის მიღების უფლების დადგენისა და პენსიის ოდენობის გამოთვლისას, და აღნიშნა, რომ, თუ არ მიეწოდებოდა ეს ინფორმაცია, ვერ დადგინდებოდა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა, ამ კუთხით, შეესაბამებოდა ქარტიის 27§1 მუხლს.

კომიტეტი იხსენებს, რომ ოჯახური ვალდებულებების გამო უმუშევრობის პერიოდები გათვალისწინებული უნდა იყოს საპენსიო სქემათა გაანგარიშებისას ან პენსიის მიღების უფლების განსაზღვრისას (2003 წლის დასკვნები).

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია. ამ ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში

არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 27§1 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

კომიტეტი ითვალისწინებს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას იმ ცვლილებებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა 2018 წლის დეკემბერში, თანასწორობის პუნქტის დამატებით. იგი სახელმწიფოს უფლებამოსილებას ანიჭებს, რომ დაადგინოს და განახორციელოს სპეციალური კანონები, პოლიტიკა, პროგრამები და ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალთა მიერ ჭეშმარიტად თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობას.

ბავშვთა დღის ცენტრები და ბავშვების მოვლის სხვა დაწესებულებები

თავის წინა დასკვნებში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა განახლებული ინფორმაცია მოითხოვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ადგილების უზრუნველყოფაზე.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018-2021 წლებში აშენდა 30 და გარემონტდა 1 ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომლებითაც ისარგებლა 2 110-მა ბენეფიციარმა. ანგარიშის თანახმად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.

Covid-19-ის პანდემია

Covid-19-ის კრიზისის კონტექსტში, კომიტეტმა ყველა სახელმწიფოს სთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, იქონია თუ არა გავლენა Covid-19-ის კრიზისმა ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლებაზე, განსაკუთრებით, დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობასა და მის შედეგებზე.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ Covid-19-ის პანდემიას არ მოუხდენია უარყოფითი გავლენა დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობაზე ნებისმიერი ტიპის მუშაკის შემთხვევაში. თუმცა, პანდემიის დროს ზოგიერთმა დასაქმებულმა დაკარგა სამსახური ან შემოსავალი, რადგან ბევრ საწარმოს დასჭირდა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება ან მათი გაშვება არაანაზღაურებად შვებულებაში. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ, მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, რომელიც მთავრობამ N 286 დადგენილებით შექმნა Covid-19-ის პანდემიისგან მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად, დაზარალებულ თანამშრომლებს ჰქონდათ უფლება თვეში 200-ლარიანი (72.74 ევრო) კომპენსაციის მიღებაზე 6 თვის განმავლობაში (ჯამში, შეადგინა 1200 ლარი (436.44 ევრო)), ხოლო არარეგისტრირებულმა მუშაკებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღეს ერთჯერადი კომპენსაცია, 300 ლარის (109.1 ევროს) ოდენობით.

დასკვნა

ვინაიდან კომიტეტისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, იგი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 27§1 მუხლს. კომიტეტს მიაჩნია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობა არის ქარტიის C მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევა საქართველოს მიერ.

გამოტოვებული კითხვების/ინფორმაციის ჩამონათვალი:

- გათვალისწინებულია თუ არა ოჯახური ვალდებულებების გამო სამსახურში არყოფნის პერიოდები პენსიის მიღების უფლების დადგენისა და პენსიის ოდენობის გამოთვლისას.

მუხლი 27 – ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარ შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება

პუნქტი 2 – ბავშვის მოვლის გამო შვებულება

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 27§2 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

თავის წინა დასკვნაში კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 27§2 მუხლს, ვინაიდან მამებს არ ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით, ინდივიდუალურად და სხვა პირისთვის გადაცემის გარეშე; და არ იყო შექმნილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვის მოვლის გამო შვებულების (183 დღის შემდეგ) ან ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული დამატებითი შვებულების ანაზღაურებას (2019 წლის დასკვნები). აქედან გამომდინარე, კომიტეტის შეფასება შეეხება ინფორმაციას, რომელიც ანგარიშში წარმოდგენილია შეუსაბამობის დასკვნაზე პასუხად.

ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება

თავის წინა დასკვნებში (2019, 2017 და 2015 წლების დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 27§2 მუხლს, ვინაიდან ვერ დადგინდა, რომ მამებს ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით, ინდივიდუალურად, ამ უფლების სხვა პირისთვის გადაცემის გარეშე.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2020 წლის სექტემბერში განხორციელდა შრომის კანონმდებლობის მასშტაბური რეფორმა, რომელმაც ბევრი ცვლილება მოიცვა შრომის კოდექსში და შედეგად მოიტანა უფრო მაღალი სტანდარტების დაწესება ბავშვის მოვლის გამო შვებულებასთან მიმართებით. ანგარიშის თანახმად, მიღებულია დებულება, რომელიც ორივე მშობელს აძლევს საშუალებას, ისარგებლონ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. ანგარიშში ასევე მოცემული იყო შრომის კოდექსის ელექტრონული ბმული (საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის ორგანული კანონი N 7177).

კომიტეტი მიესალმება ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას. კომიტეტი ითვალისწინებს, რომ ორივე მშობელს აქვს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება. თუმცა, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან ვერ დავასკვნით, რომ მამებს აქვთ უფლება ბავშვის მოვლის გამო შვებულების გარკვეული ნაწილით სარგებლობაზე, ინდივიდუალურად, ამ უფლების სხვისთვის გადაცემის გარეშე.

კომიტეტი იხსენებს, რომ: ეროვნულმა კანონმდებლობამ კაცსა და ქალს უნდა მიანიჭოს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის ინდივიდუალური უფლება, ბავშვის დაბადების ან შვილად აყვანის საფუძველზე; ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის ხელშესაწყობად, ასეთი შვებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს თითოეული მშობლისთვის, სხვა პირისთვის გადაცემის გარეშე (2011 წლის დასკვნები, სომხეთი); მხარე სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური

ვალდებულება, რომ ხელი შეუწყონ თითოეული მშობლის მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობას (2015 წლის დასკვნები, განცხადება 27§2 მუხლის განმარტების შესახებ).

კომიტეტი ასკვნის, რომ ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება 27§2 მუხლს.

თავის წინა დასკვნაში (2019 წლის დასკვნები) კომიტეტმა გაიმეორა თავისი მოთხოვნა ანგარიშში ინფორმაციის წარმოდგენაზე, მიღებულია თუ არა დამატებითი შესწორებები კანონმდებლობაში, რათა კერძო სექტორში დასაქმებულ ორივე მშობელს ჰქონდეს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება.

ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული, ვრცელდება თუ არა ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებული დებულებები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის თანამშრომლებზე. თუმცა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლი ეხება კერძო სექტორს (ვინაიდან, კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, ის „აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით“).

განმარტება, ხანგრძლივობა და პირობები

თავის წინა დასკვნებში (2019 და 2017 წლების დასკვნები) კომიტეტმა იკითხა, მოიცავდა თუ არა შრომის კოდექსის კონკრეტული დებულება როგორც ორსულობისა და მშობიარობის (დეკრეტულ), ისე ბავშვის მოვლის გამო შვებულებას (730 დღემდე), და თუ ასეა, რამდენი დღე იყო გათვალისწინებული ბავშვის მოვლის გამო შვებულებისთვის.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ანგარიში პირდაპირ არ სცემს პასუხს ამ კითხვაზე. გარდა ამისა, 27§2 მუხლით გათვალისწინებული დეტალები ეხება დეკრეტულ (ორსულობისა და მშობიარობის გამო) და არა ბავშვის მოვლის გამო შვებულებას. კერძოდ, ანგარიშში მითითება კეთდება მხოლოდ 37-ე მუხლის 1-ელ პუნქტზე, რომელიც ეხება ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდს, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ეხება ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის განაწილებას, და 37-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, მამას აქვს უფლება, ისარგებლოს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გარკვეული ნაწილით, რომელიც დედას არ გამოუყენებია.

კომიტეტი იხსენებს, რომ 27§2 მუხლი ითვალისწინებს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლებას, რომელიც განსხვავდება ქარტიის 8§1 მუხლით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულებისგან, და ნიშნავს შვებულებას, რომლითაც მშობელს შეუძლია სარგებლობა დეკრეტული (ორსულობისა და მშობიარობის გამო) შვებულების შემდეგ (2011 წლის დასკვნები, აზერბაიჯანი). აქედან გამომდინარე, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სწორი მიდგომა იქნებოდა, ანგარიშებში გაიმეორებინათ ეს ორი უფლება და, შესაბამისად, ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია.

თუმცა, ანგარიშში მოცემულია შრომის კოდექსის ელექტრონული ბმული (საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის ორგანული კანონი N 7177). ამ კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ბავშვის მოვლის გამო შვებულება 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 587 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე.“ ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ბავშვის მოვლის გამო შვებულება შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ

ან მამამ“, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ამ შვებულების ანაზღაურებადი ნაწილი გამოიყენება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების შემდეგ. ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულება ჯამში შეიძლება შეადგენდეს 730 დღეს.

კომიტეტი ასევე ითვალისწინებს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას ქარტიის 27§1b მუხლთან მიმართებით. კერძოდ, შრომის კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, დასაქმებულს, თავისი თხოვნის საფუძველზე, ეძლევა ბავშვის მოვლის გამო დამატებითი, ანაზღაურების გარეშე შვებულება წელიწადში 12 კვირის, თუმცა არანაკლებ 2 კვირის ოდენობით, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი, და მიეცეს მშობელს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის მოვლაზე.

შრომის ანაზღაურება

თავის წინა დასკვნებში (2019, 2017 და 2015 წლების დასკვნები) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამებოდა ქარტიის 27§2 მუხლს, ვინაიდან არ არსებობდა სისტემა (მაგ. სოციალური დაცვის სარგებელი ან სოციალური დახმარების სქემები), რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვის მოვლის გამო შვებულების (183 დღის შემდეგ) ან ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული დამატებითი შვებულების ანაზღაურებას.

17. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ანაზღაურებადია ბავშვის მოვლის გამო შვებულების 57 კალენდარული დღე. ვინაიდან ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება 57 კალენდარული დღის ოდენობით აიღება ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების 126 კალენდარული დღის ან, მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის შემდეგ, ანაზღაურებადი შვებულების ჯამი შეადგენს, შესაბამისად, 183 ან 200 დღეს.

18. კომიტეტი ასკვნის, რომ ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 27§2 მუხლს.

Covid-19-ის პანდემია

Covid-19-ის კრიზისის კონტექსტში, კომიტეტმა ყველა სახელმწიფოს სთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, იქონია თუ არა გავლენა Covid-19-ის კრიზისმა ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა უფლებაზე ბავშვის მოვლის გამო შვებულებასთან დაკავშირებით.

საპასუხოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ Covid-19-ის პანდემიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მთავრობამ შექმნა N 286 დადგენილებით, პირები, რომლებიც იყვნენ შვებულებაში ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო, მათ შორის, ვისაც შეუწყდა ან შეუჩერდა დასაქმება, მიიღებდნენ კომპენსაციას.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 27§2 მუხლს, ვინაიდან ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის უფლება არ არის დადგენილი თითოეული მშობლის ინდივიდუალური უფლებად, რომლის ნაწილის სხვა პირზე გადაცემაც დაუშვებელია.

მუხლი 27 – ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება

პუნქტი 3 – ოჯახური ვალდებულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვა

კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს საქართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

კომიტეტი იხსენებს, რომ არ დასმულა მიზნობრივი კითხვები ქარტიის 27§3 მუხლთან დაკავშირებით. ამის გამო, მიმდინარე საანგარიშგებო ციკლში ამ დებულებაზე ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომელთა მიმართაც წინა შემთხვევაში მიღებულია დასკვნა შეუსაბამობის, გადავადების, ან ინფორმაციის მიღებამდე შესაბამისობის შესახებ (იხ. წერილის დანართი, რომლითაც კომიტეტმა ითხოვა ანგარიშის წარდგენა ქარტიის დებულებათა შესრულებაზე თემატური ჯგუფიდან „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“).

კომიტეტს არ განუხილავს 2023 წელს ამ კუთხით არსებული ვითარება, ვინაიდან წინა დასკვნის (2019 წლის დასკვნები) თანახმად, საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამებოდა ქარტიის 27§3 მუხლს. აქედან გამომდინარე, კომიტეტი იმეორებს თავის წინა დასკვნას.

Covid-19-ის პანდემია

Covid-19-ის კრიზისის კონტექსტში, კომიტეტმა ყველა სახელმწიფოს სთხოვა შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

- იქონია თუ არა გავლენა Covid-19-ის კრიზისმა ოჯახური პასუხისმგებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვაზე და დაიშვებოდა თუ არა რაიმე გამონაკლისი პანდემიის დროს ოჯახურ ვალდებულებათა გამო სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვაში; და
- გამოიყენებოდა თუ არა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისთვის გათვალისწინებული კომპენსაციის ზღვარი ოჯახური ვალდებულებების საფუძველზე Covid-19-ის კრიზისის დროს.

პირველი კითხვის პასუხად, ანგარიშში აღნიშნულია, რომ პანდემიის დროს უცვლელი დარჩა რეგულაციები ნებისმიერი საფუძველით სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე კითხვის პასუხად, სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არ განხილულა საქმეები Covid-19-ის კრიზისის დროს ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკთა უკანონოდ გათავისუფლების შესახებ.

დასკვნა

კომიტეტი ასკვნის, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 27§3 მუხლს.